გამოცემის მე-100 წელი

საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცილისწამებით და ჭორებით ბრძოლის გაცვლა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი, 23 იანვარი. 2018 წ. №13 (8414), გამოცემის მე-100 წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

რამაზ საყვარელიძე:

თუ საზოგადოება ისევ ლუარსაბ თათქარიძის რეჟიმში იქნება, განვითარების შანსი აღარ დაგვრჩება!

3

პრეზიდენტი არათანმიმდევრული და პოლიტიკური იმპოტენტია

4

პირველი ქართველი, რომელმაც „ჰარვარდში“ ეკონომიკის მიმართულებით ბაკალავრიატი დაამთავრა, ხელოვნური ინტელექტის განვითარებაზე მუშაობს

5



7

წარდგინება როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანისა „მისიონერი“ სოლომონ დოდაშვილზე

ჩაერევა თუ არა ივანიშვილი საპრეზიდენტო კანდიდატურის შერჩევაში?

არავისთვის არ არის დასამალი, რომ ბიძინა ივანიშვილს რჩევებს ეკითხებიან მათ შორის ჩვენი თანაგუნდელები და ეს გასაკვირიც არ უნდა იყოს, — აცხადებს „ქართული ოცნების“ საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარე მამუკა მდინარაძე. კითხვაზე, მიიღებს თუ არა მონაწილეობას ბიძინა ივანიშვილი „ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატის შერჩევაში, მდინარაძე პასუხობს: **„მასთან დაკავშირებით, იქნება თუ არა ჩართული, ძალიან ხშირად გვიპასუხია და იგივეს ვიმეორებთ, რომ მაქსიმალურად ხდება დისტანცირება მათ შორის მისი სურვილითაც იმ მოვლენებიდან, რა პოლიტიკური პროცესებიც საქართველოში მიდის. რჩევას თუ ვინმე შეეკითხება, რა თქმა უნდა, არ დაზარდება ეს ადამიანი, თუმცა გადაწყვეტილებას საპრეზიდენტო კანდიდატის შესახებ მიიღებს ქართული ოცნების პოლიტიკური საბჭო, ქართული ოცნების გუნდი“,** — აცხადებს მდინარაძე.

რას იტყვის საკასაციო სასამართლო?!

კიევის სააპელაციო სასამართლოში მიხეილ სააკაშვილის უკრაინის ტერიტორიაზე ლეგალურად დარჩენის საკითხზე სხდომა გადაწყვეტილების გამოცხადების გარეშე დასრულდა.

კიევის სააპელაციო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა მიხეილ სააკაშვილის ადვოკატების შუამდგომლობა და საქმე საკასაციო სასამართლოს გადასცა. სააკაშვილის ადვოკატებმა მოსამართლეების აცილების შუამდგომლობა დააყენეს. მოსამართლეთა კოლეგიამ ადვოკატების შუამდგომლობა ნაწილობრივ დააკმაყოფილა და მოსამართლეების აცილების საკითხს საკასაციო ინსტანცია გადაწყვეტს.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეას იტალიელი პრეზიდენტი ჰყავს

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი იტალიელი პოლიტიკოსი მიკელე ნიკოლეტი გახდა. თანამდებობაზე ის სტრასბურგში, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის იანვრის სესიაზე დაამტკიცეს. ნიკოლეტის კანდიდატურა ერთადერთი იყო ასამბლეის სპიკერის პოსტზე.

ანონსი



ხვალიდან ჩვენს მკითხველს ვთავაზობთ

უნიკალურ მასალას XX საუკუნის უდიდესი მეცნიერის ალბერტ აინშტაინის ცხოვრებიდან და ნააზრევიდან

ასე ამბობდა ალბერტ აინშტაინი

ალბერტ აინშტაინი — ნობელის პრემიის ლაურეატი, ბრწყინვალე ფიზიკოს-თეორეტიკოსი არაერთი ნოვატორული სამეცნიერო შრომისა და უამრავი თვალსაჩინო აღმოჩენის ავტორია, რომლის სახელიც სამუდამოდ შევიდა ისტორიაში.

ამ უდიდესი მეცნიერის კალამს მრავალი ბრწყინვალე, გონებამახვილური, გამჭირდავი აფორიზმი და გამონათქვამი ეკუთვნის, რაც სრულიად ახალი კუთხით დაგანახვებთ აინშტაინის პიროვნებას.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ექსპერტების ჯგუფს გამოაგზავნის

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი საქართველოში ექსპერტებისა და მრჩევლების სპეციალურ ჯგუფს გამოაგზავნის, რომელიც მთის კურორტების განვითარების მდგომარეობას და სამომავლო პერსპექტივებს შეისწავლის, – აღნიშნული გადაწყვეტილება პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის ინფორმაციით, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა თომას ბახმა გიორგი კვირიკაშვილთან გუშინდელი შეხვედრისას მიიღო.

ექსპერტთა ჯგუფი გაეცნობა საქართველოს შესაძლებლობებს, მათ შორის ახალგაზრდული სპორტის განვითარების მიმართულებით. შეხვედრისას აღინიშნა, რომ საქართველოს მიზანია, პერსპექტივაში ოლიმპიური თამაშების მასპინძლობა. გიორგი კვირიკაშვილმა თომას ბახს, პირისპირ შეხვედრისას დეტალურად გააცნო საქართველოს პოტენციალი და ისაუბრა იმ თვალსაჩინო და ხელშესახები შედეგების შესახებ, რომლებსაც ქვეყანამ ბოლო პერიოდის განმავლობაში მიაღწია. მხარეებმა განიხილეს შესაძლებლობა საქართველომ უმასპინძლოს საერთაშორისო შეჯიბრს ზამთრის ოლიმპიურ სახეობებში.

პირისპირ შეხვედრის შემდეგ მოლაპარაკებები გაფართოებულ ფორმატში გაგრძელდა. საუბრისას აღინიშნა, რომ სამთო-სათხილამურო კურორტების განვითარება საქართველოს მთავრობისთვის პრიორიტეტულია და ამ პროცესში შვეიცარიის გამოცდილების გაზიარებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ყურადღება გამახვილდა საჯარო-კერძო პარტნიორობის მოდელების ფართოდ გამოყენების მნიშვნელობაზე, რაც დამატებითი ინვესტიციების მოზიდვას უზრუნველყოფს და ხელს უწყობს მთის სათხილამურო კურორტების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განვითარებას.

„ჩვენთვის ძალიან შთამბეჭდავია ბოლო პერიოდის განმავლობაში თქვენს ქვეყანაში განხორციელებული აქტივობები. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი დაინტერესებულია სპორტის განვითარებით და ამ პროცესში ჩვენ მხარს ვუჭერთ ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებს, მათ შორის საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტს“, – განაცხადა თომას ბახმა. შეხვედრის დასასრულს, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის საპატიო სტუმართა წიგნში სამახსოვრო ჩანაწერი გააკეთა.

საქართველოს ზამთრის კურორტების მთავარ „ობიექტზე“ – ბაკურიანის სადღეისო მდგომარეობაზე დღეს მოგითხრობთ...

იხ. 6 გვ.

თბილისის განვითარების უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის მიღების პროცესი ღია და გამჭვირვალე იქნება

თბილისის გენგეგმის საბოლოო ვარიანტის შეფასების პროცესში დედაქალაქის მერიამ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებსა და ადგილობრივ ექსპერტებს ჩართულობისთვის მიმართა, – ამის შესახებ თბილისის მერმა გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

„მოგეხსენებათ, რომ დოკუმენტის სრულყოფისთვის კომპანია „სითი ინსტიტუტმა“ მოითხოვა 45-დღიანი ვადა, რაზეც თბილისის მერიამ თანხმობა განაცხადა, რადგანაც ჩვენთვისაც მნიშვნელოვანია ამ დოკუმენტის არსებობა და მიღება. ვაცნობიერებთ, საზოგადოების მაღალ ინტერესს ამ დოკუმენტის მიმართ და გაცნობებთ, რომ თბილისის მერიამ მიმართა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებსა და ადგილობრივ ექსპერტებს, რათა მოხდეს მათი მაქსიმალური ჩართულობა „სითი ინსტიტუტის“ მიერ შემოთავაზებული დოკუმენტაციის შეფასების პროცესში. აქტიური კონსულტაციების შედეგად მოხდა შეთანხმება თბილისის მერიასა და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებს შორის, შესაბამისად, მსოფლიო ბანკმა, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა, აზიის განვითარების ბანკმა და საერთაშორისო კომპანიამ „ბიურო ჰაპოლდმა“, რომელიც არის მერიის სტრატეგიული პარტნიორი, გამოთქვეს მზადყოფნა, რომ მათ მიერ შერჩეული ექსპერტები ჩაერთონ გენერალური გეგმის საბოლოო ვარიანტის შეფასების პროცესში. ჩვენ ასევე დავუკავშირდით ადგილობრივ ექსპერტებს და მათი ჩართულობაც იქნება უზრუნველყოფილი. მერიის შესაბამისი სამსახურებიც მზად არიან თანამშრომლობისთვის და დოკუმენტის შეფასებაში მონაწილეობის მიღებისთვის. მინდა, კიდევ ერთხელ გავუსვა ხაზი, რომ თბილისის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის მიღების პროცესი უნდა იყოს ღია და გამჭვირვალე. ასევე მნიშვნელოვანია სწორად შეფასდეს, თუ რამდენად იქნება გათვალისწინებული „სითი ინსტიტუტის“ მიერ თბილისის მერიის მხრიდან გამოთქმული შენიშვნები ტრანსპორტის, ურბანული განვითარების, არქიტექტურის, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვის, ეკოლოგიისა და ეკონომიკური სარგებლიანობის დოკუმენტში ასახვის კუთხით. თბილისის მერია უზრუნველყოფს ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციისა და ექსპერტების ინფორმირებულობას. ჩვენ ყველა დოკუმენტაციას, რომელიც გენგეგმასთან დაკავშირებით მერიას მიუღია, ამ ადამიანებს მივაწვდით, რომ მოხდეს მუშაობის დაწყება. ასევე გაცნობებთ, რომ აღნიშნული შემადგენლობით სამუშაო ჯგუფის პირველი შეხვედრა მიმდინარე კვირას გაიმართება“, – განაცხადა კალაძემ.



საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია უზბეკეთში

უზბეკეთის რესპუბლიკაში ოფიციალური ვიზიტით მყოფი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე დელეგაციასთან ერთად ქვეყნის საკანონმდებლო პალატის თავმჯდომარეს ნურდინჟონ ისმოილოვს შეხვდა.

საუბარი შეეხო ორმხრივი ურთიერთობების არსებულ საკითხებს და სამომავლო პერსპექტივებს, მათ შორის ინსტიტუციური თანამშრომლობის საკითხებს. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავების მნიშვნელობაზე, მათ შორის სატრანზიტო ფუნქციის განვითარებაზე.

როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, საპარლამენტო დელეგაციის უზბეკეთში წარმატებული ვიზიტი გრძელდება და დღეს, საქართველოს პარლამენტსა და უზბეკეთის რესპუბლიკის ოლიი მაჯლისს შორის ხელი მოეწერება საპარლამენტთაშორისო თანამშრომლობის მემორანდუმს.

„შევხდით პარლამენტის ორივე პალატის სპიკერებს. ვისაუბრეთ ჩვენს თანამშრომლობაზე. განსაკუთრებულ აქცენტი გავაკეთეთ ამ თანამშრომლობის ეკონომიკურ განზომილებაზე, მათ შორის სატრანზიტო ფუნქციის განვითარებაზე. ჩვენ ხელს ვაწერეთ პარლამენტებს შორის თანამშრომლობის თაობაზე მემორანდუმს, რომელიც შეეხება ჩვენი თანამშრომლობის სხვადასხვა მიმართულებას, საუბარია ინსტიტუციურ თანამშრომლობაზე და კონკრეტული განვითარების მიმართულებებით თანამშრომლობაზე საქართველოსა და უზბეკეთის პარლამენტებს შორის“, – აღნიშნა ირაკლი კობახიძემ.

ჯორჯ სოროსი: სააკაშვილთან დამოკიდებულება ჩემთვის მტკივნეული გაკვეთილია

„ცნობილი მილიარდერის ჯორჯ სოროსის ფონდი (OSF), რომელიც ოდესღაც ევროპაში დემოკრატიის გავრცელების სიმბოლო იყო,დღეს ნაციონალისტთა თავდასხმის ობიექტად იქცა“, – აღნიშნულია ბრიტანული FINANCIAL TIMES-ის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ ამონარიდებს ენდრიუ ბირნის ავტორობით გამოქვეყნებული სტატიიდან:

„სოროსის ფონდი ამჟამად თითქმის 140 ქვეყანაში მოქმედებს და ხშირად მხარს უჭერს ისეთ ჯგუფებს, რომლებიც ხელისუფლებასთან ოპოზიციაში იმყოფებიან. სხვა მეცენატები და ქველმოქმედები ამგვარ პროდემოკრატიულ პრინციპებს თავს არიდებენ, ჯორჯ სოროსი კი პირიქით აკეთებს ხოლმე. იგი ასევე ითვლება აშშ-ის დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთ მსხვილ მხარდამჭერად. აქედან გამომდინარე, სავსებით ბუნებრივია ის, რომ ამერიკელი დემოკრატები პირადად ჯორჯ სოროსისაგან შეწირულებას იღებენ.

თუმცა, ზოგიერთების აზრით, ჯორჯ სოროსი ხშირად არასწორ აქცენტებს აკეთებს და წინააღმდეგობრივ ფიგურად წარმოჩინდება ხოლმე. ბოლო დროს მის მიმართ ბრალდებები გაისმა, რომ წლების წინ მილიარდერი ქართულ ოპოზიციას საქართველოს ხელისუფლების დამხობაში დაეხმარა, მისი კვალი ჩანს უკრაინაში და ამ რამდენიმე თვის წინ უნგრეთსა და მაკედონიაში მომხდარ ამბებში. ამასთან, ჯორჯ სოროსი ბრალდებებს უარყოფს. მილიარდერის აზრით, მისი მისამართით განხორციელებული თავდასხმების ინიციატორს რუსეთი წარმოადგენს, რასაც ამ ქვეყნის პრეზიდენტის პირადული მოტივებით ხსნის: „ვლადიმერ პუტინს მე არ ვუყვარვარ“, – ამბობს ჯორჯ სოროსი და ამის მიზეზად იმ მხარდაჭერას ასახელებს, რომელიც მან საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს გაუწია, „ვარდების რევოლუციის“ მოხდენისა და ხელისუფლებაში მოსვლის მიზნით 2003 წელს.

ამასთან, ჯორჯ სოროსი შეცდომებსაც აღიარებს: მაგალითად, საქართველოს ყოფილი ლიდერი მიხეილ სააკაშვილი, რომელსაც იგი ადრე მხარს უჭერდა, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ არც ისეთი სანიმუშო ქომაგი აღმოჩნდა ღია საზოგადოების ფასეულობების ერთგულების საკითხში, როგორიც იგი ადრე, ოპოზიციაში ყოფნის დროს იყო“, – წერდა ჯორჯ სოროსი 2011 წელს.

საერთოდ, ჯორჯ სოროსის დამოკიდებულება მიხეილ სააკაშვილთან, რომელიც საქართველოს პრეზიდენტობის შემდეგ უკრაინაში გუბერნატორი გახდა, ახლა კი სისხლის სამართლის დევნის ობიექტად იქცა, მილიარდერისათვის „მტკივნეული გაკვეთილი“ იყო: როგორც იგი ამბობს, „სადაც ჩემი ფონდები მოქმედებს, იმ ქვეყნების საშინაო პოლიტიკაში ჩარევისაგან თავი შორს უნდა დავიჭიროო“. ჯორჯ სოროსი აღიარებს, რომ ბევრი პროექტი თეორიულად იოლად განსახორციელებელი ჩანს, თუმცა პრაქტიკაში უფრო რთულია.

„Financial Times“ (დიდი ბრიტანეთი)



რამაზ საყვარელიძე:

თუ საზოგადოება ისევ ლუარსაბ თათქარიძის რეჟიმში იქნება, განვითარების შანსი აღარ დაგვრჩება!

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე ფიქრობს, რომ, უპირველეს ყოვლისა, ხელისუფლება უნდა დაფიქრდეს და თავისი და სხვისი შეცდომების ანალიზიდან დაასკვნას რა არის გასაკეთებელი. მისი თქმით, ალტერნატივის გარეშე ხარისხი არ გაუმჯობესდება.

რატომ ვერ უმკლავდება ხელისუფლება არსებული პრობლემების მოგვარებას და სად არის გამოსავალი? ამ საკითხებთან დაკავშირებით for.ge რამაზ საყვარელიძეს ესაუბრა.

— ხვალ რომ საპარლამენტო არჩევნები ტარდებოდეს, რომელ პარტიას მისცემდით ხმას, ამ ნაწილში 27%-ით „ქართული ოცნება“ ლიდერობს. „ნაციონალური მოძრაობა“ — 10%; „ევროპული საქართველო“ — 3%; არც ერთ პარტიას ხმას არ აძლევს 24%; არ იცის — 15%-მა; პასუხზე უარს აცხადებს — 13%. გამოკითხულთა უმრავლესობამ არ იცის ვინ არის მისი მაჟორიტარი და ფიქრობს, რომ ძალიან რთულ პროცედურასთან არის დაკავშირებული დეპუტატთან შეხვედრა. რამდენად დამაფიქრებელია კვლევის ეს ნაწილი ხელისუფლებისთვის, მით უფრო, რომ 2018 წელი არის საარჩევნო წელი ქვეყანაში?

— რამაზ საყვარელიძე: მე არ გამოვყოფდი ხელისუფლებას როგორც მხოლოდ მხარეს, რომელიც უნდა დაფიქრდეს. რა თქმა უნდა, ხელისუფლებისთვის ეს კვლევა არის დამაფიქრებელი და ამავე დროს საყურადღებო, მაგრამ ეს შედეგები არანაკლებ დამაფიქრებელია ოპოზიციისთვის. ხელისუფლებას 27% მაინც აქვს, ოპოზიციას რა აქვს?

ნაციონალები ამაყობენ, რომ 10% მაინც გვაქვს და ისევ მეორე ოპოზიციური პარტია ვართო. კი ბატონო, იამაყონ, თუმცა ეს 10% გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ადრინდელი 40 და 20%. მაგრამ დანარჩენი პარტიებისთვის, რომლებმაც ისიც დაკარგეს რაც გააჩნდათ, მათთვის დამაფიქრებელი არ უნდა იყოს ეს შედეგები? — რა თქმა უნდა — კი. ასე რომ, გაცილებით მეტი დაფიქრება მართებს ოპოზიციურ პარტიებს, ვიდრე ხელისუფლებას.

— როგორ ფიქრობთ ხელისუფლებისთვის რამდენად დამაფიქრებელია, როდესაც 24% ამბობს, რომ არც ერთ პარტიას არ აძლევს ხმას, ასევე 15%-მა არ იცის ვის მისცეს ხმა? თუნდაც იმიტომ, რომ ეს მაჩვენებელი არ გახდეს 30-34% და თუ წინა კვლევიდან გამოვალთ, ხელისუფლების მიმართ უკმაყოფილოთა რიცხვი იზრდება. რა ნაბიჯები უნდა გადადგას ხელისუფლებამ იმისათვის, რომ ნდობის მაჩვენებელში კლების ტენდენცია არ გაიზარდოს?

— უპირველეს ყოვლისა, ხელისუფლება უნდა დაფიქრდეს (ფიქრი ნამდვილად კარგი რამეა). თავისი და სხვისი შეცდომების ანალიზიდან დაასკვნას რა არის გასაკეთებელი, რადგანაც სხვების შეცდომაც ბლომად არის. რატომ კარგავს რეიტინგს ნებისმიერი პარტია და მათ შორის ხელისუფლება, ამის გარკვევას დაახლოებით 2 თვე უნდა. ხომ შეიძლება გამოკვლევები მარტო საარჩევნოდ არ ჩატარდეს, სადაც ძირითადად რეიტინგები აინტერესებთ ხოლმე, არამედ ჩატარდეს იმის გასარკვევად, რატომ კარგავს ხელისუფლება რეიტინგს და მერე გატარდეს რაღაცა ქმედება იმისთვის, რომ ნდობის კლების ტენდენცია არ მივიღოთ.

— როგორ ფიქრობთ, რატომ კარგავს ხელისუფლება რეიტინგს? ერთი შეხედვით ნდობის ხარისხი აქვთ ცალკე აღებულ მინისტრებს, მაგრამ ამის მიუხედავად, ხელისუფლება მთლიანობაში კარგავს რეიტინგს, საზოგადოების მხარდაჭერას. რა არის ამის მიზეზი, რომ არაფერი ვთქვთ პარლამენტზე, რომლის მიმართ ნდობა საკმაოდ დაბალია...

— პარლამენტი ახსენეთ, ნამდვილად კარგი მაგალითია იმ მხრივ, რომ სულ იძახიან, ხელისუფლება მედიაში არ ჩანსო, პარლამენტი ხომ ჩანს მედიაში, მაგრამ ამით არ იზრდება პარლამენტის რეიტინგი. ყველა მედიაში ჩანს ოპოზიციური პარტია, მაგრამ მათი რეიტინგი კლებულობს, ე.ი. რაღაცაშია საქმე, ანუ მარტო საჯარო გამოსვლა არ არის საკმარისი. დამაჯერებელი და არგუმენტირებული უნდა იყოს საჯარო გამოსვლა და ლიდერის პოზიციას უნდა ტოვებდეს საზოგადოებაში. ლიდერობის განცდა კი, არ არის საზოგადოებაში.

თქვენ აღნიშნეთ, ცალკეულ მინისტრებს აქვთ ნდობაო, ცალკეულ მინისტრებში სწორედ ლიდერობის სტილი გამოდის წინა პლანზე, ან პირიქით. მთლიანობაში ხელისუფლების პოლიტიკა უნდა იყოს წამყვანი როლის შემსრულებელი. ანუ, ლიდერობა უნდა ჰქონდეს ხელისუფლებას. არ უნდა იყოს მშიშარა, მორიდებული, გაუბედავი სახელმწიფო ინტერესებისა და მოქალაქეთა ინტერესების დაცვაში. ამ მომენტების პედალირება უნდა ხდებოდს ბოლო წუთამდე. არ უნდა იყოს პროგნოზირებადი თვითონ ხელისუფლება. ერთ-ერთი, რითიც ქარიზმატული ლიდერი იხვეჭს სიმპათიებს და რითიც ის არის ქარიზმატული, გახლავთ ის, რომ ნაკლებად პროგნოზირებადია.

სააკაშვილის მომხიბვლელობის დიდი წილი იმაში იყო, რომ ნაკლებად პროგნოზირებადი გახლდათ. სიახლის მომტანი და ინტერესის საგანი უნდა იყოს ხელისუფლება. დღევანდელი ხელისუფლება ნაკლებად პროგნოზირებადია, ეს კარგია სახელმწიფოს მშენებლობისთვის, მაგრამ პიარისთვის არის ცუდი.

— მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა — ამ რეალობის წინაშე დგას ქვეყანა, ყოველდღიური ფასები მატება, ინფლაცია, უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელი, ამ ყოველივეს ფონზე ელექტროენერგიაზე და წყალზე გადასახადის მომატება — როგორ ფიქრობთ, რატომ ვერ იჭერს სოციალურ პრობლემებს ხელისუფლება, თითქოს უძლურია ამ პრობლემის წინაშე და ხელიდან გაუშვა პროცესები...

— პროცესის დაჭერა — ამ ფრაზაში იგულისხმება, რომ წინა ხელისუფლებას ეჭირა და დღევანდელი ვერ იჭერს. არც წინა ხელიუფლებას ჰქონდა სამუშაო ადგილები და არც მაშინ არ იყო ლარი კარგად. ვერც წინა ხელისუფლებამ და ვერც წინას წინამ ვერ მოუარა ეკონომიკურ პრობლემებს. ამბობენ, რომ ძნელი მოსავლელი პრობლემა არისო. ეს ის პრობლემებია, რომელიც ბევრი ფრონტიდან ითხოვს შეტევას. — მრავალმხრივი მოქმედების და მიხვედრის უნარი, ხვალ რა არის გასაკეთებელი — აი ამ უნარის არის თუ არა ხელისუფლება, ამაში ეპარება ეჭვი მოსახლეობას და ამიტომ არის ნიჰილიზმი. აქ ვერ გადადგა ხელისუფლებამ ის ნაბიჯები, რომელიც დაარწმუნებდა მოსახლეობას ხელისუფლების კომპეტენციაში.

— ეს რამდენად რთულად აისახება ხელისუფლებაზე?

— თუ ალტერნატივა არ არის, რაც უნდა მიუღებელი იყოს, მოსახლეობა ვერ ინაცვლებს სიცარიელისკენ. არ ვარგა ეს ხელისუფლება, ვინ აირჩიონ? „ნაციონალური მოძრაობა“, უარესი იყო — ეს ახსოვს მოსახლეობას. დანარჩენი ვინ უნდა აირჩიონ, ვინც საერთოდ არ იქცევს ყურადღებას?

— ანუ პოლიტიკური ველის სიცარიელე ხელისუფლებას აძლევს შეცდომების დაშვების საშუალებას?

— რა თქმა უნდა. კერძო ბიზნესშიც იგივე პროცესები არ არის? ნებისმიერი წარმოება შეცდომებს უშვებს მაშინ, თუკი კონკურენტი არ ჰყავს. კონკურენცია არის იმის პირობა, რომ შეცდომები დაუშვებელი გახდეს. რისთვის შეიქმნა დემოკრატია როგორც სისტემა? რათა კონკურენცია არსებობდეს. უბრალოდ, ის ვერ გაითვალისწინეს დემოკრატიის მამებმა, რომ თუ ერი ისეთი მოუმზადებელია დემოკრატისთვის, რომ მას პარტიების გენერირებაც არ შეუძლია, რასაც დღეს ვაკვირდებით, კონკურენცია არ იქნება. თუ პარტიების და პოლიტიკური ალტერნატივების გენერირება არ ხდება, მაშინ კონკურენცია აღარ იქნება, რა ხარისხის დემოკრატიაც არ უნდა იყოს ქვეყანაში.

— ეს პროცესები შესაძლებელია ქუჩის პროცესების ინდიკატორი გახდეს და მოსახლეობამ თავად აიღოს პასუხისმგებლობა შექმნილ ვითარებაზე, რომ ამ გზით მიიქციოს ხელისუფლების ყურადღება?

— ნორმალური ცხოვრების პირობებში ასეთი გამოსაფხიზლებელი უნდა იყოს ალტერნატიული ძალა. დავუშვათ, რომ ქვეყანაში მუშაობს ერთი პურის ქარხანა და გამოვიდა ხალხი ქუჩაში იმიტომ, რომ არ მოსწონს პური, პურის ქარხანა თავს შეიწუხებს იმაზე, რომ გაუმჯობესოს რაიმე? — არა. იმიტომ, რომ ის პური აუცილებლობაა, გარეთ გამოსული ხალხი ხვალ მაინც იმ პურს იყიდის. გვიჭამია ასეთი ბალახივით პური საქართველოში, ოღონდ გვიხაროდა იმიტომ, რომ ღამის რიგებში ვშოულობდით ასეთ პურს. ალტერნატივის გარეშე ხარისხი არ გაუმჯობესდება.

საპროტესო აქციები იქნება, ჩაივლის, უსასრულო ხომ არ იქნება, სიტუაციაც გაჩერდება. იმ ხალხს, რომელიც პროტესტს გამოთქვამს და აი, ამ ხალხმა რომ შექმნას პარტია, ეს პარტია წავიდეს ხელისუფლებასთან საჭიდაოდ იმაზე, რომ მმართველობა აიღოს საკუთარ თავზე, ეს იქნება ნორმალური გზა. ის, რასაც ჩვენ შევეჩვეთ — ქუჩაში გამოსვლას, ამას არასწორი შედეგი აქვს.

როდესაც გამსახურდიას ალტერნატივად კიტოვანი და სიგუა გვეგულებოდა, შევარდნაძის ალტერნატივად სააკაშვილი-ჟვანია-ბურჯანაძე, იმ ალტერნატივებზე გვქონდა აქცენტირება და მერე უკვე ხელისუფლებაში მოდიოდნენ ისინი, ვინც იწყებდა ბრძოლას. არც ერთი ამგვარი რევოლუციური ბრძოლით მოსული გუნდი არ ყოფილა შედეგიანი. უალტერნატივო რეჟიმი შექმნეს და უალტერნატივოდ დარჩა ქვეყანა.

მარტო მათ კი არ შექმნეს, ქვეყანასაც ეზარება ალტერნატივის კეთება. ასეთი პოლიტიკურად ზარმაცი ქვეყანა ყოველთვის გამოდის ქუჩაში და მერე დასვამს ხელახლა ადამიანს, რომლის მოსაშორებლად ისევ ქუჩაში უნდა გამოვიდეს. ახლა უკვე ამ გზამაც დაკარგა ძალა, ვხედავთ, რომ ნიჰილიზმი გამეფდა. გავაცნობიეროთ, რომ საჭიროა პროპორციულობა.

ბავშვის გაჩენა საჭიროა იმისთვის, რომ მემკვიდრე ჰყავდეს ადამიანს. საზოგადოებასაც, რომელსაც უნდა ცხოვრების გაგრძელება, ახალი პოლიტიკური ძალები სჭირდება. ან ძველი პოლიტიკური ძალების განახლება, როგორც იდეოლოგიით, ასევე ადამიანური რესურსით. თუ საზოგადოება ისევ ლუარსაბ თათქარიძის რეჟიმში ჩაინთქმება, მაშინ, რა თქმა უნდა, განვითარების შანსი ნაკლები იქნება.

თამთა ძარჩავა

ყველა სახის ნარკოტიკული საშუალების დეკრიმინალიზაცია მანამდე არ მოხდება, სანამ საჭირო ინფრასტრუქტურა არ გვექნება!

„ჯანდაცვის სამინისტროს დაევალა, წარმოადგინოს თავისი ვერსია, რა ბიუჯეტი დასჭირდება სერვისების ამოქმედებას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს არის სამ მილიონნახევარი ლარი და ერთი წლის ვადაში ამ ყველაფრის მოწესრიგება შესაძლებელი იქნება. ეს იქნება მნიშვნელოვანი ფაქტორი. ჩვენ ვიზიარებთ პრინციპს, რომ სანამ არ მოხდება ინფრასტრუქტურის მზაობა, რომ ჩვენ შევთავაზოთ სერვისები საპატიმრო სასჯელის ნაცვლად, დეკრიმინალიზაცია მანამდე, რა თქმა უნდა, არ მოხდება“, — განაცხადა ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ აკაკი ზოიძემ ნარკოტიკის წინააღმდეგ ბრძოლის საკოორდინაციო საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ.

მისივე თქმით, დეკრიმინალიზაციის შემთხვევაში, ლიბერალური პოლიტიკა არ გავრცელდება იმ შემთხვევებზე, თუ პირადი მოხმარების დოზას პირი ქვეყნის ფარგლებს გარეთ შეიძენს და საზღვარზე შემოიტანს.

„განელილი“ დისკუსია ნარკოპოლიტიკაზე...

„ვხედავთ, რომ ამ ძალზე მნიშვნელოვან თემაზე დისკუსია დროში ხანგრძლივად გრძელდება და ასეთი დროის ხარჯვა არ ეხმარება მდგომარეობის გაუმჯობესებას. ჩვენ ამას ვამბობთ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით და განსაკუთრებით იმ ნაწილში, რასაც ჰქვია ქვეყანაში ნარკოსაშუალებების შემოსვლა და მათი გასაღება. აქ ჩვენ რეალურად ვხედავთ რისკებს და ვთვლით, რომ ეს მიმართულება არის ის, სადაც მკაცრი მიდგომები არათუ შესანარჩუნებელია, ზოგ შემთხვევაში შეიძლება გასამკაცრებელიც იყოს. ჩვენ ძალიან კარგად გვესმის, რომ ჰუმანური, კომპლექსური ნარკოპოლიტიკა არის ერთადერთი გამოსავალი, თუმცა ბალანსი ჰუმანურობასა და მოხმარების წახალისებას შორის ერთმნიშვნელოვნად დაცული უნდა იყოს. არ უნდა მოხდეს მოხმარების წახალისების პროვოცირება. ამ მიმართულებით, ამ ფორმატში გადადგმულია ძალიან ბევრი კონკრეტული ნაბიჯი, რომელმაც კონკრეტულ შედეგებამდე მიგვიყვანა და, შესაბამისად, ჩავთვალეთ, რომ

იმის მაგივრვად, რომ ბევრ ადგილზე იყოს მსჯელობა, სჯობს ერთ ფორმატში გვქონდეს შესაძლებლობა ყველა უწყებას და ამ პროცესში ჩართულ ყველა ადამიანს, გამოვთქვათ ჩვენი აზრი, რაც უნდა დაგვეხმაროს, რომ მაქსიმალურად შესაძლებელ დროში მივიდეთ საბოლოო გადაწყვეტილებამდე“, — განაცხადა შს მინისტრმა გიორგი გახარიამ ნარკომანიასთან ბრძოლის უწყებათაშორისი კომისიის სხდომაზე.

პრეზიდენტი არათანმიმდევრული და პოლიტიკური იმპოტენტია

ოფიციალური კონსულტაციები ჯერ არ დაწყებულა, თუმცა მმართველ გუნდში პრეზიდენტის პოსტზე კულუარულად კვლავაც გიორგი კვირიკაშვილისა და დავით სერგეენკოს კანდიდატურები განიხილება. ამდენად, გამორიცხული არ არის, ახლო მომავალში კვირიკაშვილმა საპრეზიდენტო არჩევნებისთვის მზადება დაიწყოს.

როგორც ცნობილია, 2018 წლის ოქტომბერში პრეზიდენტს ექვსი წლით ერთჯერადად ავირჩევთ. ახალი კონსტიტუციის თანახმად, ეს ბოლო საპრეზიდენტო არჩევნები იქნება, სადაც პრეზიდენტის არჩევის გადაწყვეტილებას ამომრჩეველი მიიღებს.

ანალიტიკოსი **არჩილ გამზარდია** For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ გიორგი კვირიკაშვილისა და დავით სერგეენკოს კანდიდატურები საინტერესოა, რადგან პრეზიდენტის პოსტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოლიტიკური კომუნიკაციების თვალსაზრისით. ამჟამინდელი კონსტიტუციით, მართალია, პრეზიდენტს არა აქვს ძალაუფლება, მაგრამ მისი მთავარი ძალაუფლება მაინც არის მისი რანგი, მისი არჩევითობა, ლეგიტიმაციის ხალხისგან მინიჭება და ეფექტური კომუნიკაციების შექმნა. სერგეენკოც და კვირიკაშვილიც საინტერესო ლიდერები არიან იმ მხრივ, რომ მათ შეუძლიათ, ისე ისაუბრონ, საზოგადოებაში ვითარება არ გაამწვავონ და კრიტიკული პოზიციების ჩამოყალიბებას ხელი შეუშალონ. მართალია, სერგეენკო ბევრად უფრო თავშეკავებულია და საუბრის აქტიური კომუნიკაციით არ გამოირჩევა, მაგრამ დაბალანსებული და საინტერესო პიროვნებაა.

რაც შეეხება კვირიკაშვილს, ის ამ მხრივ უფრო გამოხატულია, არაერთი შემთხვევა ყოფილა, როცა კვირიკაშვილის რიტორიკას საზოგადოებრივ განწყობაზე მმართველი ძალის სასარგებლოდ უმოქმედია.

„გიორგი კვირიკაშვილის ეფექტი იმაშია, რომ ის კარგი მოსაუბრეა, კარგ თამადას ტყუილად არ ვეძახით. იმის გათვალისწინებით, რომ მომავალში შეიძლება, კიდევ უფრო გამძაფრდეს კრიტიკული აზრი ხელისუფლების მიმართ (და „ენდი-აი“-ს კვლევებითაც, 69%-სთვის მმართველი ძალა არ არის სასურველი პარტია), კვირიკაშვილი ბევრად უფრო ეფექტურად მოჩანს. თუ ასე პირდაპირ შევხედავთ, ქარიზმა არც კვირიკაშვილს აქვს და არც სერგეენკოს, თუმცა კვირიკაშვილს აქვს შთამაგონებელი რიტორიკის უნარი, რაც ბოლომდე არ გაუხარჯავს. საერთო ჯამში, ყველაზე მთავარი უნარი, რაც კვირიკაშვილს აქვს, ის არის, რომ იგი ახერხებს, მის მიმართ ნეგატიური თვალსაზრისი ნაკლებად შეიქმნას და უფრო მორიდებული დამოკიდებულება იყოს. ცხადია, პარლამენტში მომხდარ უხერხულობას არ ვგულისხმობ. ამიტომ კვირიკაშვილს, როგორც პრეზიდენტს, ალბათ, ექნება იმის შესაძლებლობა, გარკვეულ პროცესებთან დაკავშირებით მეტნაკლებად შთამაგონებელი გავლენა მოახდინოს“, — აღნიშნა არჩილ გამზარდიამ და არჩილ თალაკვაძის კანდიდატურასაც შეეხო.

მას თალაკვაძის კანდიდატურა **მაინცდამაინც ეფექტურად არ მიაჩნია. ფიქრობს, რომ საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის თალაკვაძე არახილვადია, რაღაც ნაწილისთვის იგი მისაღებია, მაგრამ არ არსებობს მხარე, რომლისთვისაც იგი განსაკუთრებული პოზიტიური ნიშნით ხასიათდება. მთლიანობაში, თალაკვაძე ნაკლებად აღქმადია.**

რაც შეეხება ირაკლი ღარიბაშვილს, არჩილ გამზარდიას აზრით, ეს საკმაოდ სპეციფიკური ვარიანტია. ღარიბაშვილის გაპრეზიდენტებამ შესაძლოა, საზოგადოებრივი მუხტი გაამძაფროს. ერთი მხრივ, აქ იგულისხმება პოზიტიური მუხტი უშუალოდ ღარიბაშვილის ელექტორატში, მაგრამ მას, ასევე, ჰყავს აქტიური მოწინააღმდეგეებიც. კვირიკაშვილს კი არც ერთი ჰყავს და არც მეორე, უფრო ზოგადი პოზიტიური პათოსი არსებობს კვირიკაშვილის მიმართ. ღარიბაშვილი უფრო რადიკალური ლიდერია, მის მიმართ ან მკვეთრად გამოხატული დადებითი პოზიციები არსებობს, ან მკვეთრად გამოხატული ნეგატიური პოზიციები, რაც შეიძლება რისკფაქტორად გამოჩნდეს მომავალში.

არჩილ გამზარდია არ მალავს, რომ მმართველი გუნდის სხვა კანდიდატებს შორის **პირადად იგი ფსონს კახა კახიშვილზე დადებდა, რომელსაც აქვს დიდი საზოგადოებრივი მხარდაჭერა, პატივისცემა ოპოზიციონერებში და ეს დადებითი მახასიათებელი, მისი აზრით, არ გაჩნია არც სერგეენკოს და არც კვირიკაშვილს.**

„კომუნიკაციის განსაკუთრებული უნარი აქვს კახა კახიშვილს. ის არის ადეკვატური, ფრთხილი, მოზომილი. აქვს ის ქარიზმა, რომ მასში ხედავენ გულწრფელ, პოზიტიურ შედეგებზე ორიენტირებულ პირს, რომელმაც მოახერხა ყველაზე რთული უწყების გაადამიანურება. მმართველი ძალისთვის დღეს ერთადერთი სავიზიტო ბარათია პენიტენციალური სისტემა, რომელზეც შეუძლიათ თქვან, რა იყო წარსულში და დღეს რა გვაქვს. კახიშვილს აქვს უნარი, ნეიტრალური, ინდეფერენტული, კრიტიკული ამომრჩევლის ხმებიც მიიღოს. ჩემი აზრით, კახიშვილი ყველაზე კარგად გაუწევს მეტოქეობას სხვა კანდიდატებსაც.

ჩვენ არ ვიცით, ალეკო ელისაშვილი იქნება თუ არა საპრეზიდენტო კანდიდატი, მაგრამ ელისაშვილსაც აქვს გარკვეული გეგმები. ჩვენ ვნახეთ მისი რესურსი თბილისის მერობის კანდიდატების პაექრობის დროს და შეიძლება, გარკვეულწილად, საზოგადოებრივი მუხტი ელისაშვილის სასარგებლოდაც გადატყდეს. მასთან შებრძოლება თვით კახა კალაძესაც გაუჭირდა, რომელიც მერი რომ არ გამხდარიყო, პრეზიდენტობის ყველაზე კონკურენტუნარიანი სუბიექტი იქნებოდა. საქმე ის არ არის, ვინ გახდება პრეზიდენტი, არამედ რომ გახდება, მის მიმართ საზოგადოებრივი განწყობა როგორი იქნება. მე რომ ვიყო „ოცნების“ პოლიტსაბჭოს წევრი, კახიშვილის კანდიდატურას წამოვაყენებდი“.

ანალიტიკოსი **ვახტანგ მაისაია** For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ, სავარაუდოდ, გიორგი კვირიკაშვილს წყალი აქვს შეყენებული და მის პერსპექტივას მმართველ პარტიაში სერიოზულად არავინ განიხილავს. თავის დროზე კვირიკაშვილი უალტერნატივოდ ითვლებოდა, ის ლიდერი იყო. ახლა კი, როცა ეს ლიდერი თავის თავს აყენებს საპრეზიდენტო კამპანიაში და ამ დროს მის გვერდით მისივე თანაგუნდელის სახელი ფიგურირებს, ეს უკვე მის აშკარა დასუსტებას მიანიშნებს. სწორედ ამის საფუძველია, რომ მარტში ან აპრილში კვირიკაშვილის წასვლას პროგნოზირებენ. მან თავისი რესურსი სრულად ამოწურა.

„ბოლო ინციდენტებიც ამას მიანიშნებს. იყო რამდენიმე არარელევანტური მომენტი, კერძოდ, როცა გიორგი კვირიკაშვილმა არ იკადრა პანკისში ჩასვლა და არ შეხვდა მოსახლეობას, ამას დაემატა მისი სიტყვიერი დაპირისპირება ვინმე მელიასთან, რომელიც პოლიტიკაში არაფერს წარმოადგენს, ცარიელი ადგილია და ამ დროს მან გაუყადრა თავი და ცარიელ ადგილთან იპაექრა. კვირიკაშვილი ტექნოკრატი გახლდათ და ასრულებდა ტექნოკრატიულ დავალებებს მთავრობაში. ის კარგი კანდიდატურა იყო გარდამავალ პერიოდში. თუმცა თანდათანობით ქვეყანაში ეკონომიკური ვითარება გაუარესდა. საინტერესოა, რომ მმართველ პარტიას, რომელსაც გააჩნია კონსტიტუციური უმრავლესობა და აქვს ამბიცია, რომ ის არის ერთადერთი და განუმეორებელი მმართველი პარტია, ჰყავს ორი კი არა, არამედ სამი საპრეზიდენტო კანდიდატი. ეს ნიშნავს, რომ არსებულ პოლიტიკურ პარტიაში კრიზისია. აქ უკვე კლანური სისტემები, ანუ ფრაქციული დაყოფა შემდგარი ფაქტია.

არა მარტო სერგეენკოსა და კვირიკაშვილზეა საუბარი, არამედ მესამე კანდიდატ არჩილ თალაკვაძეზეც. ამას ემატება ირაკლი ღარიბაშვილიც, რომელიც ასოცირდება მმართველ პოლიტიკურ პარტიასთან. ჩვენ ვიხილეთ პოლიტიკური პარტიის ყრილობაზე ღარიბაშვილი როგორ მივიდა, როგორც ამ პარტიის დამფუძნებელი და რამდენი ოვაცია დაიმსახურა ყრილობაზე, ანუ ღარიბაშვილი არსად წასულა, ის არის ამ პარტიის ერთ-ერთი იდეოლოგი, დამფუძნებელი, მას აქვს რეიტინგი ამ პარტიაში. შეიძლება, დროებით დამარცხდა კვირიკაშვილთან, მაგრამ კვირიკაშვილის დასუსტების ფონზე ღარიბაშვილის ფაქტორი საკმაოდ გაძლიერდა. თანაც, ღარიბაშვილს უფრო აქვს ქარიზმული იმიჯი, ვიდრე სერგეენკოს, კვირიკაშვილსა და თალაკვაძეს“, — აღნიშნა ვახტანგ მაისაიამ.

მისივე პროგნოზით, პრაიმერის გარეშე მმართველი პარტია უკვე ფონს ვერ გავა, ხოლო პრაიმერში შეიძლება სწორედ ღარიბაშვილმა გაიმარჯვოს პრეზიდენტის პოსტზე. თუმცა, ზოგადად, პრეზიდენტის პოსტი მაინცდამაინც სახარბიელო არ არის, რადგან ეს ნომინალურ თანამდებობას წარმოადგენს. ამას ემატება ისიც, რომ დღევანდელი პრეზიდენტი ამ თანამდებობას აფუჭებს თავისი არათანმიმდევრული გადაწყვეტილებითა და პოლიტიკური იმპოტენციით. ამდენად, მნიშვნელოვანია, მომავალში პრეზიდენტის თანამდებობაზე ვინ მოვა. თუ გამოჩნდება დიდი ქარიზმატული ლიდერი, მას შეუძლია, ეს პოსტი გამოიყენოს საკუთარი პოლიტიკური მანიპულაციებისთვის და პრეზიდენტის ინსტიტუტი გახადოს უფრო ძლევამოსილი, ვიდრე მარგველაშვილის მმართველობაა.

მანანა ნოზაძე

ახალი მომხმარებელი და 4000-ლარიანი პაკეტი

ბუნებრივი გაზის გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების 400-ლარიანი პაკეტით სარგებლობა საქართველოს უმეტეს რაიონებში უკვე შესაძლებელია. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) მიერ საჯარო სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით, გაზიფიცირებული სოფლების ჩამონათვალს, სადაც მოსახლეობა ბუნებრივი გაზის გამანაწილებელ ქსელზე მიერთებისას მხოლოდ 400 ლარს გადაიხდის, კიდევ 73 დასახლებული პუნქტი დაემატა. ამჟამად, ქსელზე მიერთების 400-ლარიანი პაკეტით სარგებლობა სულ 946 დასახლებულ პუნქტშია შესაძლებელი.

დღეიდან 400-ლარიანი პაკეტით სარგებლობა შეეძლებათ ზუგდიდის, მარტვილის, აბაშის, ოზურგეთის, ჩოხატაურის, ლანჩხუთის, ზესტაფონის, ბათუმის, ხელვაჩაურის, კასპის, ქარელის, ლაგოდეხის, დუშეთის, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფლებს.

შპს „სოკარ ჯორჯია გაზისა“ და სს „საქორგგაზის“ ბუნებრივი გაზის განაწილების არეალის ფარგლებში დარჩენილია მხოლოდ 47 დასახლებული პუნქტი, სადაც მიმდინარეობს გაზიფიცირების სამუშაოები და სამუშაოების დასრულების შემდეგ 400-ლარიანი პაკეტით სარგებლობა იქნება შესაძლებელი.

„ვიყავი ერთ-ერთი ყველაზე დიდი და ძველი „ჰარვარდის მეწარმეთა ორგანიზაციის“ ყველაზე ახალგაზრდა პრეზიდენტი“

პირველი ქართველი, რომელმაც „ჰარვარდში“ ეკონომიკის მიმართულებით ბაკალავრიატი დაამთავრა, ხელოვნური ინტელექტის განვითარებაზე მუშაობს

რა არის წარმატება – უბრალოდ იღბლიანი შემთხვევა, გამართლება თუ თავდაუზოგავი შრომის ნაყოფი? ჩვენი დღევანდელი სტუმრისთვის **არჩილ ჟეიშვილისთვის** უბრალოდ იღბალი ნამდვილად არ ყოფილა, რადგან ის წარმატებისკენ მიმავალ გზას მცირე ასაკიდან შეუდგა. ბავშვობიდან იცოდა, რომ მისი საქმიანობის სფერო ბიზნესი იქნებოდა.

„დაწყებით კლასებში ზოგს უნდა, კოსმონავტი გახდეს, ზოგს – მეხანძრე, ზოგს – ექიმი, ზოგსაც – პოლიციელი. მე მხოლოდ ერთი რამ მაინტერესებდა: ბიზნესი! ადრეული ასაკიდან ვოცნებობდი, შემექმნა მასშტაბური ბიზნესი, რომელიც უკეთესობისკენ შეცვლიდა ხალხის ცხოვრებას. ბავშვობიდან ვხედავდი, რომ ქვეყანაში დიდი პრობლემები იყო, რომელთა გადაჭრაც ჩემს მიზნად და პირად გამოწვევად მიმაჩნდა. ვიცოდი, ამისთვის კარგი განათლება დამჭირდებოდა. სკოლაში სწავლისას, „ჰარვარდი“ მხოლოდ ფილმებში მქონდა გაგონილი. იმ დროს, ერთადერთი, რაც მასთან მაკავშირებდა, დიდი ოცნება იყო.“

8 წლის ასაკში პოკემონებით ვაჭრობას შეუდგა, რისი მეშვეობითაც ისწავლა ეკონომიკისა და ფინანსების ორი ძირითადი პრინციპი: მოთხოვნა-მიწოდება და არბიტრაჟი. 14 წლის ასაკში კი საფონდო ბირჟაზე ინვესტირება დაიწყო.

„14 წლისამ საფონდო ბირჟაზე ვაჭრობა დავიწყე. ეს იყო 2007 წელს, როდესაც მსოფლიოში სწრაფი ეკონომიკური ზრდა იყო. ამ წელს ჩემმა ფინანსურმა პორტფელმა ძალიან დიდი მოგება ნახა, თუმცა 2008 წელს, მოგებები ფინანსურმა კრიზისმა დაჩრდილა. ვისწავლე, რომ არასდროს უნდა იყო ზედმეტად თავდაჯერებული, უნდა აკონტროლო ემოციები და აუცილებელია, იცოდე, რა არ იცი. ინვესტირებამ ძალიან დამაინტერესა, რადგან, ბაზარი სწრაფად იცვლება და შესაძლებლობებს ლიმიტი არა აქვს.“

ადამიანისთვს წარმატების საწინდარი დასახული მიზნისკენ სწრაფვაა. თუ ჩაიფიქრებ, აუცილებლად აგიხდება და ჩვენს გმირს ბავშვობის ოცნება აუხდა.

მოიპოვა დაახლოებით 300 000-დოლარიანი სტიპენდია და პირველი ქართველი ბიჭი იყო, რომელმაც ჰარვარდში ეკონომიკის მიმართულებით ბაკალავრიატი დაამთავრა. ჰარვარდში სწავლის პარალელურად, უნივერსიტეტში სამი სტუდენტური ორგანიზაციის პრეზიდენტი იყო, მათ შორის, ერთ-ერთის დამფუძნებელი.

„ლიდერის პოზიციის დაკავება პირველი კურსიდან მინდოდა. ამიტომ გადავწყვიტე, ჩემი კურსელები ჩემთვის საინტერესო იდეის გარშემო შემეკრიბა და დამეარსებინა სტუდენტური გაერთიანება. შევქმენი გუნდი და დავაფუძნე ორგანიზაცია, რომელსაც „ევროპული ბიზნეს-ჯგუფი“ ჰქვია. ის ამჟამად, ერთ-ერთი ყველაზე დიდი ჯგუფია ჰარვარდში. მისი ძირითადი მიზანია ევროპის მომავალი ლიდერების ერთ ორგანიზაციაში გაერთიანება და ერთმანეთთან დაკავშირება. ასევე, ვიყავი ერთ-ერთი ყველაზე დიდი და ძველი „ჰარვარდის მეწარმეთა ორგანიზაციის“ ყველაზე ახალგაზრდა პრეზიდენტი.“

ჰარვარდში“ მესამე კურსის დასრულების შემდეგ, მუშაობა დაიწყო მსოფლიოს უდიდეს და რეიტინგის მიხედვით, ყველაზე წარმატებულ ჰეჯ-ფონდ „Bridgewater Associate“-ში. კომპანიაში იყო ერთ-ერთი ახალგაზრდა თანამშრომელი, რომელიც საფონდო ბირჟაზე ინვესტიციებს ახორციელებდა. Bridgewater-ი ცნობილია არა მარტო ფინანსური წარმატებებით, არამედ მისი უნიკალური კულტურით, რომელიც ყველაფერს აკეთებს ჭეშმარიტების დასადგენად. კომპანიის შექმნის იდეა კი, რომლის ხელმძღვანელიც თავად გახლავთ, სწორედ ჰეჯ-ფონდ „Bridgewater Associates“-ში მუშაობის დროს დაებადა.

„იდეა წამოვიდა იქიდან, რომ მე ვმუშაობდი ჰეჯ ფონდში, ჩემი თანადამფუძნებლები კი კომპანია Google-ში და Microsoft-ში და ამ კომპანიებში მუშაობის პროცესში ვნახეთ, რომ ძალიან რთული იყო გაგეგო თუ რომელი თანამშრომელი დადებდა უკეთეს შედეგს, ანუ წინასწარმეტყველება ძალიან რთული იყო. ამ პრობლემას ხშირად მოჰყვებოდა არასამართლიანი და არასწორი გადაწყვეტილებების მიღება სამსახურში დაწინაურებების და ბონუსების მიღებასთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, გადავწყვიტეთ, გადაგვეჭრა ეს პრობლემა ხელოვნური ინტელექტის მეშვეობით და დავაფუძნეთ კომპანია, სადაც ბოლო თაობის ხელოვნურ ინტელექტს ვანვითარებთ. ჩვენ, ფაქტობრივად, რევოლუციას ვახდენთ ამ მიმართულებით.

შევქმენით საიტი, რომლის დახმარებითაც ვაგროვებთ საჭირო ინფორმაციას სამი საშუალებით. პირველ რიგში, თანამშრომლები ერთმანეთს აძლევენ შეფასებებს სხვადასხვა მიზეზების გამო. შემდეგ გეგმავენ მიზნების მენეჯმენტს. საბოლოოდ, ავსებენ კითხვარს კვირის განმავლობაში. ამის შემდეგ კი ჩვენ ვიყენებთ დახვეწილ სტატისტიკურ მოდელებს და ხელოვნურ ინტელექტს, რათა ამ შეფასებებს ანალიზი გავუკეთოთ და ინფორმაცია მივაწოდოთ თანამშრომლებსა და მენეჯერებს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორები არიან თანამშრომლები, როგორები იყვნენ წარსულში და, რაც ყველაზე მთავარია, წინასწარი დასკვნები გავაკეთოთ მომავალი პერფორმანსის შესახებ. საინტეერსოა ასევე ის, რომ 75% შემთხვევებში ჩვენი ალგორითმები სწორად წინასწარმეტყველებენ, თუ როგორი იქნება თანამშრომელი სამ თვეში.“

მათ კი, ვისი სამომავლო გეგმებიც ჰარვარდს უკავშირდება, არჩილი ცდილობს, საოცნებო უნივერსიტეტში მოხვედრაში დაეხმაროს. იმ შიდა და დახურულ, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვან ინფორმაციას უზიარებს, რაზეც რთულია, გქონდეს წვდომა, თუ ჰარვარდში არ გისწავლია. თვითონ კი მასშტაბური კომპანიის შექმნას გეგმავს, რომელიც ხალხის ცხოვრებას უკეთესობისკენ შეცვლის.

„იმისთვის რომ ჰარვარდში ჩააბარო, საჭიროა, ან რაღაც კონკრეტულ სფეროში იყო მსოფლიო დონის ექსპერტი, ან ბევრ სფეროში იყო ნიჭიერი. ჩაბარების დროს მთავარია, ნათლად, ერთ წინადადებაში წარმოაჩინო, რატომ უნდა მიგიღოს ჰარვარდმა. მაგალითად, მე უნდა მიმიღოს ჰარვარდმა იმიტომ, რომ ვარ მსოფლიო დონის მათემატიკოსი. ამის შემდგომ, აპლიკაციის ყველა ნაწილი (პერსონალური ესე, ინტერვიუ, რეზიუმე, სარეკომენდაციო წერილები) უნდა ამყარებდეს ამ მთავარ მიზეზს.“

ანი შაიაშვილი

პირველად საქართველოში ქვევრში ლუდის წარმოება დაიწყო

„ქვევრის ლუდი“ ბაზარზე ახლად შემოსული სასმელია, რომელიც ქართველი მომხმარებლისთვის სენსაციურია. „ქვევრის ლუდის“ საწარმო ასპინძაში მდებარეობს. 2018 წლისთვის კომპანია მის გაფართოებას გეგმავს და მცირე წარმოებაზე გადასვლას აპირებს.

როგორც „კომერსანტს“ „ქვევრის ლუდის“ დამფუძნებელმა ზაზა ზედგინიძემ განუცხადა, მცირე წარმოება კომპანიის ნიშა იქნება და დიდ წარმოებაზე გადასვლას არ გეგმავენ.

— „ქვევრის ლუდი“ ბაზარზე სენსაციაა, რადგან ამ დრომდე მხოლოდ ქვევრის ღვინოს იცნობდა მომხმარებელი. თქვენი წამოწყება საკმაოდ საინტერესოა. გვიამბეთ ბაზარზე შემოსვლის და ქვევრის ლუდის ჩამოყალიბების შესახებ...

— პირველი ექსპერიმენტი 2016 წელს ჩავატარეთ და გერმანიიდან მოწვეულ ლუდის ტექნოლოგთან ერთად დავხვეწეთ ქვევრში ლუდის წარმოების ტექნოლოგია. ბაზარზე კი 2017 წლიდან შემოვედით. 2017 წელს მთლიანობაში დაახლოებით 20 ტონა ქვევრის ლუდი ვაწარმოეთ.

ჩვენ მასშტაბურ წარმოებაზე ორიენტირებულები არ ვართ და ეს ჩვენი ნიშა იქნება. ორიენტაციას ძირითადად ხარისხის დაცვაზე გავაკეთებთ. ჩვენ ალაო და სვია გერმანიიდან ჩამოგვაქვს.

— ამ ეტაპზე სულ რამდენი სახეობის ქვევრის ლუდს აწარმოებთ და სად არის ის წარმოდგენილი?

— ამჟამად სულ ორი სახეობის, მუქი და ღია ფერის ლუდს ვაწარმოებთ. რა თქმა უნდა, მათი გემო ერთმანეთისგან განსხვავებულია. ის სისტემა, რასაც მე ამჟამად ვნერგავ, სხვა ლუდის კომპანიებისგან განსხვავდება.

ჩვენი ქვევრის ლუდი რამდენიმე რესტორანსა და მაღაზიაშია წარმოდგენილი. ის ბაზარზე არსებულ ქართულ ლუდზე 30-40%-ით ძვირად იყიდება.

— თქვენ ბიზნესი ახალი წამოწყებული გაქვთ. თავდაპირველად, თითქმის ყველა მცირე მეწარმე ამბობს, რომ დაწყება რთულია. რა სახის სირთულეების წინაშე დგას დღეს კომპანია?

— რადგან ლუდისთვის საჭირო ინგრედიენტები გერმანიიდან შემომაქვს, ამიტომ ტვირთვის განბაჟების დროს გადასახდელი დღგ ჩემნაირი მცირე კომპანიისთვის ფინანსური ტვირთია. ასევე დავასახელებდი აქციზის გადასახადს.

გარკვეული შეღავათების დაწესება უნდა მოხდეს. ვფიქრობ, რომ თუ საქართველოში ლუდის მცირე მწარმოებლები განვითარდებიან, ეს კარგი იქნება.

— რა ძირითადი პრობლემა დგას ქვეყანაში პროფესიონალი კადრების მოძიების მიმართულებით?

— ჩვენთან განათლების პრობლემა დგას და ეს პრობლემა სახელმწიფოსაც ეხება. ადამიანური რესურსების პრობლემა არსებობს. უბრალო თანამშრომლის დაქირავება ძალიან რთულია, რადგან ელემენტარული ცოდნა და მოტივაცია არა აქვთ. საქმის მცოდნე ადამიანი არ არსებობს, ამიტომ ექსპერტების ჩამოყვანა უცხოეთიდან მიწევს. საჭიროა, გადამზადების კურსები, რათა კვალიფიკაციის ამაღლება მოხდეს.

— როგორია „ქვევრის ლუდის“ სამომავლო გეგმები და კომპანია ექსპორტის მიმართულებით როგორ გეგმავს განვითარებას?

— წელს თბილისის მასშტაბით საერეალიზაციო ცენტრების გაფართოებას ვგეგმავთ და ასევე გვსურს, რომ ადრე გაზაფხულზე ქვევრის ლუდის ბოთლებში ჩამოსხმა დავიწყოთ. ის სისტემა, რასაც ამჟამად ვნერგავთ, სხვა ლუდის კომპანიებისგან განსხვავებულია. განსხვავება არის ის, რომ მომხმარებელთან ნატურალური ლუდი მიდის.

ვთვლი, რომ ათიდან თხუთმეტი ათასამდე ბოთლის წარმოებას შევძლებთ. სამომავლოდ პროდუქციის ექსპორტზე გატანა მინდა. 2018 წლის გაზაფხულზე ჰონგკონგში ექსპორტზე უკვე 3 000 ბოთლ ქვევრის ლუდს გავაგზავნით.

ლიკა გურაბანიძე

რა იგეგმებოდა და რა ხდება ახლა ბაკურიანში?

არც დავოსი და არც ოლიმპიური ქალაქი – ტურისტული პოტენციალითა და ჯერჯერობით მხოლოდ პერსპექტივებით გაჯერებული ზამთრის კურორტი, სადაც მასშტაბური პროექტების პარალელურად, ელემენტარული პრობლემების მოგვარებაც ვერ ხერხდება. რატომ ვერ შეძლო ხელისუფლებამ ბაკურიანის უნიკალური კურორტის განვითარება და რატომ ვერ გადავიდა მთავრობა გეგმებიდან საქმის კეთებაზე?

ზამთრის სეზონის დაწყებიდან ერთი თვის შემდეგ, რამდენიმე დღის წინათ აღმოაჩინა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ზურაბ ალავიძემ, რომ ბაკურიანში ტურისტები კომფორტულად ვერ ისვენებენ – არ არის ნორმალური გზები, ტროტუარები, პარკინგის ადგილები, დასასვენებელი პარკები, წყალმომარაგება და, ზოგადად, ბაკურიანში ინფრასტრუქტურა გაუმართავია. „ტურისტების უპრეცედენტო რაოდენობას ბაკურიანი მოუმზადებელი დახვდა“, – აღიარა ზურაბ ალავიძემ მხარის გუბერნატორთან, ბორჯომის მერთან და მთის კურორტების განვითარების კომპანიის ხელმძღვანელობასთან ერთად, ბაკურიანში გამართულ საგანგებო თათბირზე. „ტურისტების მზარდი რაოდენობის გამო, ბაკურიანში ახალი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას ვგეგმავთ“, – ესეც მინისტრის ახალი განცხადებაა, და ისევ „ვგეგმავთ(!).

ბაკურიანის განვითარების გეგმების შესახებ წლების განმავლობაში გვესმის, გავიხსენოთ რა იგეგმებოდა და ისიც გავიგოთ, პრობლემების აღიარების პარალელურად, რა ხდება ზამთრის ამ კურორტის განვითარების მიმართულებით?

„სივრცითი მოწყობა და ინფრასტრუქტურული მოდერნიზაცია“

„შემოხვალ იახტით, ჩამოხვალ, დაჯდები მანქანაზე, ახვალ მთაში, ისრიალებ თხილამურებით და წახვალ. ვინ არ ჩამოვა დასასვენებლად ასეთ ადგილზე?, – ამბობდა 2010 წელს საქართველოს იმჟამინდელი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი.

2010 წელს, როდესაც მთავრობამ სამთო-საკურორტო ცენტრების განვითარებაზე აქცენტის გაკეთება და ამგვარად, ეკონომიკის „მთავარ პრიორიტეტად ტურიზმის განვითარება გადაწყვიტა, მიხეილ სააკაშვილი აცხადებდა – „ყველას შევუწყობთ ხელს და იქნება უფრო დიდი და სწრაფი მშენებლობა, ვიდრე აქამდე იყო. იქნება მაქსიმალურად ლიბერალური რეჟიმი, მაგრამ იქნება ყველაფერი მოწესრიგებული, იმიტომ, რომ მე მინდა, საქართველოში ვაშენებდეთ არა ახალ საბჭოთა კურორტებს, არამედ ვაშენებდეთ ახალ დავოსებს...

მაგრამ როგორც სპეციალისტები განმარტავენ, ეს პროცესი იმდენად ქაოტურად დაიწყო, რომ სამთო კურორტების რეალურად განვითარებასა და ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას გაცილებით დიდი დრო დასჭირდება. ამ პრობლემაზე მიუთითა 2016 წლის ივლისში საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **გიორგი კვირიკაშვილმა**.

– ბაკურიანის განვითარება მიწათსარგებლობის კუთხით თითქმის დასრულებულია. სამწუხაროდ, ბოლო წლების განმავლობაში მოხდა სტიქიური განვითარება. ჩვენ ვგეგმავთ მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებას, როგორიც არის ოთხპუნქტიანი გეგმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულება – საქართველოს სივრცითი მოწყობა და ინფრასტრუქტურული მოდერნიზაცია. ამ მიმართულებით რომ არ მოხდეს სტიქიური განვითარება და მათ შორის ტყის მასივების სტიქიური გამოყენება, აუცილებელია კანონზომიერი განვითარების ჩარჩოს შექმნა, – განაცხადა მაშინ პრემიერმა.

უფრო კონკრეტულად კი, ჯერ კიდევ 2016 წლის ივლისში დაანონსდა, რომ ბაკურიანის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლება მოხდება მის მიმდებარედ არსებული საკურორტო პოტენციალის მქონე დასახლების, დიდი მიტარბის გათვალისწინებით. ეს ყველაფერი კი, საქართველოს რეგიონებში ტურისტულად მიმზიდველი დასახლებების განაშენიანებისა და სივრცით-ტერიტორული მოწყობისთვის აუცილებელი პირობაა.

და რა ხდება 2018 წლის იანვარში? – როგორც „კომერსანტს“ მთის კურორტების განვითარების კომპანიის ხელმძღვანელმა სანდრო ონოფრიშვილმა განუცხადა, „ბაკურიანის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა დასრულებულია და ახლა ამასთან დაკავშირებით მთავრობაში განხილვები მიმდინარეობს, ხოლო უახლოეს მომავალში დამტკიცდება. იმ შემთხვევაში თუ შენიშვნა იქნება, ჯგუფი ამ ყველაფერს გამოასწორებს. დაახლოებით ორ კვირაში ის დამტკიცდება და დაიწყება იმ გეგმის შესრულება, რაც ბაკურიანს ქაოტური განაშენიანებისგან დაიცავს. გვექნება ბაკურიანის განვითარების სამოქმედო გეგმა“.

„გრანდიოზული გეგმები – 2015-2018 წლები“

საინტერესოა, რომ ბაკურიანის „ყველაზე მასშტაბურ პროექტზე მუშაობა, ანუ იქ ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია-განვითარების „დაწყება პრაქტიკულად ყოველწლიურად ხდება. ჯერ კიდევ 2015 წელს, საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ საგენტოს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანიასა და „ჯიარდისი ჰოლდინგში შემავალ შპს „ახალ მიტარბს შორის მემორანდუმი გაფორმდა. „თიბისი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ **მამუკა ხაზარაძემ** 2015 წლის ივლისში განაცხადა, რომ ბაკურიანის პროექტი ყველაზე მასშტაბურია ბოლო 20 წლის ქართულ სინამდვილეში, სადაც სახელმწიფო და კერძო სექტორი ერთობლივად იწყებს პროექტს. ხაზარაძე ამბობდა, რომ პროექტის ჯამური ღირებულება 100 მილიონ ლარს გადააჭარბებდა და 2 წელიწადში დასრულდებოდა.

მემორანდუმი ბაკურიანისა და მიტარბის ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას და განვითარებას ითვალისწინებს. კერძოდ, როგორც შესაბამის სტრუქტურებში აცხადებდნენ, უნდა დაინერგოს ოთხსეზონური მთის კურორტის კონცეფცია, რაც ხელს შეუწყობს მთის ტურიზმის შემდგომ პოპულარიზაციას.

და ისევ 2018 წლის იანვრის მდგომარეობით, რა ეტაპზეა „უპრეცედენტო პროექტი – **„ჩვენი საქმიანობა რაც იყო, თითქმის ყველაფერი გაკეთდა. დადგმულია სამი საბაგირო კოხტაზე და მიტარბზე. ასევე წელს ზაფხულში ჩაბარდება სასტუმრო Rooms-ი. მიტარბზე ელექტროენერგიის მიწოდების საკითხზე განხილვა მიმდინარეობს, რომელიც უახლოეს თვეებში დასრულდება და დაიწყება მიტარბში კომპანიების მიერ სხვადასხვა სახის მშენებლობების პროცესი,** – ამბობს „მთის კურორტების განვითარების კომპანიის ხელმძღვანელი **სანდრო ონოფრიშვილი**.

ისევ მხოლოდ პერსპექტივა?

სამთო-სათხილამურო კურორტის განვითარების პარალელურად, ხელისუფლებამ კიდევ ერთი – ბაკურიანის რეგიონულ-საკონფერენციო ცენტრად ჩამოყალიბება ისურვა. 2010 წელს სააკაშვილის მიერ ნახსენები – დავოსის პერსპექტივა აქტუალობას ინარჩუნებს. მაგრამ სპეციალისტები ბაკურიანის დავოსად ქცევას შორეულ პერსპექტივად მიიჩნევენ. ისინი რამდენიმე პრობლემურ საკითხზე ამახვილებენ ყურადღებას, ბაკურიანში ყველაფერი კერძო საკუთრებაშია და ძალიან ცუდადაა დაგეგმილი, თან ინფრასტრუქტურა ქაოტურია, გარდა ამისა, ექსპერტები ამბობენ, რომ ბაკურიანი ურბანულად ძალიან ცუდად არის განსახლებული.

2018 წლის იანვარი. „მთის კურორტების განვითარების კომპანიის ხელმძღვანელი სანდრო ონოფრიშვილი: **„პირველი რაც გაკეთდა მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა იყო, თუმცა მის განხორციელებას რამდენიმე წელი სჭირდება. მთავარი ისაა, რომ კურორტი სწორი მიმართულებით განვითარდება და ბაკურიანში აღარ იქნება ქაოტური განაშენიანება, რათა დავოსი ვერ გახდეს. კურორტზე განვითარების პროცესი მიმდინარეობს და 2-3 წელიწადში უკეთესი ბაკურიანი გვექნება, ვიდრე ამ ეტაპზეა“.**

ბაკურიანის განვითარების „მასტერ პლანი“ ჩვენთვის ცნობილია და ამ ეტაპზე განვითარების სამუშაოები მიმდინარეობს. მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა ყველას გაუადვილებს თავისი საქმიანობის ბაკურიანში განხორციელებას. სხვადასხვა სახის შიდა საკითხები მთავრობის სხდომაზე გადის და მონდომება დიდია, რომ არსებული პრობლემები მოწესრიგდეს. მაგალითად, ამჟამად საცობისგან განტვირთვის თემები განიხილება. ასევე წყლის მიწოდების პრობლემები მოგვარდება.

ბაკურიანი – მომავალი ოლიმპიური ქალაქი – რა გაკეთდა ამ მიმართულებით?

წინასაარჩევნო კამპანიის დროს, საპარლამენტო არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე, 2016 წლის სექტემბერში, ზამთრის კურორტების და ოლიმპიური სტანდარტების მქონე ინფრასტრუქტურის მშენებლობა, პრემიერ-მინისტრმა მთავრობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად ისევ დაასახელა. თუმცა ამჯერად აქცენტი გაკეთდა „ოლიმპიურ ინფრასტრუქტურაზე.

გეგმის მიხედვით ბაკურიანში ოლიმპიური სტანდარტის ბიატლონის ტრასის მოწყობა, სატრამპლინო სკოლის აღდგენა, ჰოკეის 1000-კაციანი მოედნის აშენება და სხვა გასართობი, ახალგაზრდული ცენტრები უნდა აშენდეს. პრემიერი კვირიკაშვილი ამბობდა, რომ „ბაკურიანში იკვრება სრული წრედი ოლიმპიური ინფრასტრუქტურის მთელი კომპლექსის ჩამოყალიბების, რაც ქმნის აბსოლუტურად რეალისტურ წინაპირობას, რომ დაახლოებით, 10-წლიან პერსპექტივაში ოლიმპიადა ჩატარდეს.

2018 წლის იანვარი, რა ხდება ბაკურიანში სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით? „კომერსანტის ამ კითხვასაც „მთის კურორტების განვითარების კომპანიის ხელმძღვანელი პასუხობს: **„ოლიმპიური სტანდარტის ბიატლონის ტრასის პროექტირება დასრულებულია. მის დაპროექტებაზე დაახლოებით 786 500 ლარი გამოიყო, ამ ეტაპზე გარკვეული კომპონენტების ადაპტირების პროცესი მიმდინარეობს. როგორც კი მისი მშენებლობისთვის განკუთვნილი თანხების მოძიება მოხდება, პროექტის განხორციელებას დავიწყებთ. რაც შეეხება ჰოკეის დარბაზს, მუნიციპალური განვითარების ფონდი 25-იანების მიმდებარე ტერიტორიაზე 3 000 ადამიანზე გათვლილ ყინულის დარბაზს აშენებს და ის ორ წელში დასრულდება. ორივე ოლიმპიური სტანდარტის იქნება და ნებისმიერი სახის ჩემპიონატი ჩატარდება. ტრამპლინის დაპროექტებაზე შარშან თავი შევიკავეთ, ჩვენ გვინდა, რომ სრულფასოვანი პროექტი გვქონდეს, რაც ძალიან ძვირი ჯდება. სწორედ ამიტომ ვფიქრობთ, რომ პროექტირება და მშენებლობა ორი წლის ვადაში ერთდროულად განვახორციელოთ.**

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ უამრავი გეგმის ფონზე მხოლოდ რამდენიმე პროექტია დასრულებული. ისე კი, რა დავოსი და რა ოლიმპიური ქალაქი, როცა დამსვენებელს ელემენტარული პირობებიც ვერ შეუქმნეს და ამას მთავრობის წევრებიც აღიარებენ. გამორიცხული არ არის, რომ მომავალ წელს, ამ დროს, ისევ გეგმებზე ვისაუბრებთ და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი, ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენელი ისევ იანვარში აღმოაჩენს, რომ „ტურისტების უპრეცედენტო რაოდენობას ბაკურიანი მოუმზადებელი დახვდა“.

„კომერსანტი“

სარაგაულში სარკინიგზო გვირაბის მშენებლობაზე აფეთქება მოხდა

რკინიგზელთა ახალი პროფესიული კავშირის ცნობით, ხარაგაულის რაიონის სოფელ ბეჟათუბანში, სარკინიგზო გვირაბის მშენებლობაზე აფეთქება მოხდა. ადგილობრივი დასაქმებულების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მძიმედაა დაშავებული სამი მუშა. შეგახსენებთ, მუშები რამდენიმე დღის წინათ შრომითი უსაფრთხოების ნორმების უხეშ დარღვევას აპროტესტებდნენ, რის შემდეგაც ადგილზე შრომის სამინისტროს ინსპექტირების დეპარტამენტი ჩავიდა.

წარდგინება
როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანისა
სოლომონ დოდაშვილზე

ჯერ კიდევ შალვა ნუცუბიძე წერდა ამ მოღვაწის შესახებ:

— მისი ადგილი ქართულ ფილოსოფიაში კი არა, მსოფლიო ფილოსოფიურ ნააზრევში უნდა ვიკვლიოთ, რადგან სწორედ ევროპული აზროვნებაა ის კონტექსტი, რომელშიც მისი ფიქრი ტრიალებსო.

ფიქრი კი უშუალოდ სოლომონ დოდაშვილის შესახებაც მძაფრად ტრიალებდა ქართულ ცნობიერებაში, რაკი მეცნიერს, პუბლიცისტს, საზოგადო მოღვაწეს, მწერალსა და პედაგოგს, საქართველოში ევროპეიზმის მხურვალე პროპაგანდისტს 31 წლის ასაკამდე 1832 წლის შეთქმულების იდეური ხელმძღვანელობაც მოესწრო, მსოფლიო რეზონანსით აღბეჭდილი სახელმძღვანელოების შექმნაც და თავისი კვალი ჩვენი ცხოვრების არაერთი სფეროსთვისაც დაეჩნია სასიკეთოდ. 1860-იანი წლების ქართული ეროვნული რეფორმატორული მოძრაობისთვისაც სწორედ მას მიეცა გეზი და დიდი გავლენაც მოეხდინა იმდროინდელ საზოგადოებრივ ცნობიერებაზე. მომავალ თაობათა შთაგონებისა და აღტაცების წყაროს თავის დროზე არაერთი შემოქმედის მსოფლმხედველობა და ესთეტიკაც განესაზღვრა და თავისი ნაწერებით გაეღვიძებინა „ბნელ ღამეში მოხეტიალე ქართველობაც“...

ღამეებს კი ბევრს უნდა ჩაევლო მას შემდეგ.

ათწლეულები უნდა გადაკეცილიყო და ეს ღვაწლი **მაია ჯალიაშვილს** გაეხსენებინა წარდგინებაზე **როსტომ ჩხეიძის** ახალი ბიოგრაფიული რომანისა **„მისიონერი“**, რომელიც **ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების** - იმავე ჟურნალ **„ჩვენი მწერლობის“** - ძალისხმევით **ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში** გაიმართა და სწორედ სოლომონ დოდაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ასახავს. სათაურშივე განუსაზღვრავს ავტორს მისი როლი ქართულ საზოგადოებრივ ყოფაშიც და ცნობიერებაშიც...

და მომხსენებელი **დოდო ჭუმბურიძეც** თავისი გამოსვლისას, პირველ რიგში, გამოარჩევს სოლომონ დოდაშვილის ღვაწლის ორ ძირითად კონცეპტს: მისიონერისა და ილიამდელი ილიას როლს.

პასუხის გასაცემად ქალბატონი დოდო საქართველოში ჯერ კიდევ 1802 წლიდან დაწყებულ წინააღმდეგობის მოძრაობასაც მიმოიხილავს, საერთოკავკასიური ანტირუსული მოძრაობის მასშტაბები რომ შეიძინა, და საერთოდ, მოწინავე საზოგადოების დამოკიდებულებასაც ქვეყანაში არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარებისა თუ მეფის რუსეთის იმპერიული პოლიტიკის მიმართ; შემდეგ მსოფლიო მოვლენებსაც გადაწვდება და ერთი პატარა ქვეყნის როლსაც განსაზღვრავს ამ გლობალურ პროცესებში... და ამგვარი ისტორიული ანამნეზის ფონზე ასკვნის, რომ ზოგადად, ქართველი ხალხის ეროვნულ ნიშნად იქცა წინასწარ დამარცხებულ ბრძოლებში მონაწილეობა. ასეთი იყო 1832 წლის შეთქმულებაც. მაგრამ ამგვარ ომში ბრძოლა სულაც არ ნიშნავს დამარცხებას — თუ ფიზიკურად მარცხდებოდა, ერი სულიერად და მორალურად მაინც იმარჯვებდა, რადგან არ თმობდა ქვეყნის ინტერესებს, თავის მეობას, ათასწლოვან ისტორიასა და კულტურას.

ქალბატონი დოდოს თქმით, სწორედ ეს ძარღვი ფეთქავს „მისიონერშიც“, ამ სულისკვეთებით არის განმსჭვალული წიგნი და ეროვნული იდეის გადარჩენის ქარგაზეა შემოქსოვილი მთელი რომანიც და სოლომონ დოდაშვილის მითოსური არქეტიპიც; იმ სოლომონ დოდაშვილისა, რომელიც წინ აღუდგა „ცარიელობის“ პრობლემას, როგორც არამარტო ფილოსოფიურ კატეგორიას, არამედ მისი დროის ქართული ყოფის არსს. მან ყველა შესაძლო საშუალება პოლიტიკურ იარაღად აქცია ხალხის გამოღვიძებისათვის. სურდა, ძველი კულტურული კერები აღედგინა, ახალი შეექმნა, რადგან „სახელმწიფოს ამოგებისათვის“ ეს ყველაფერი აუცილებელი იყო... იმდენს აკეთებდა, რომ პეტერბურგელი და მოსკოველი ქართველები სახელმწიფო კაცს ეძახდნენ და აკი კიდეც ექცა ეს საბედისწეროდ: „უკვე იქ და მაშინ იყო განწირული სოლომონ დოდაშვილი, რადგან იმპერიაში რჩეულობას არავინ აპატიებდა ქართველ კაცს“.

არც აპატიეს...

თუმცა ამაზე — მოგვიანებით, მანამდე კი **მანანა კვატაია** თავების მიხედვით მიმოიხილავს რომანს და უწინარესად, იმ საგულისხმო მასალაზე გაამახვილებს ყურადღებას, რომელზეც აგებულია წიგნი და განსაკუთრებულ ღირებულებას მატებს მას.

მისი თქმით, რომანის პირველივე თავი — „ცოდვა გერცენული, რისხვა სოლომონური“ — ვიატკაში გადასახლებულ ქართველ და რუს მოაზროვნეთა მსოფლმხედველობითი ანალიზია. აი, ქართველი მოაზროვნის გადასახლების დროინდელი ყოფის აღსადგენად კი ავტორი ეყრდნობა სოლომონ დოდაშვილის შვილთაშვილის, ანჟელიკა დოდაევა-მაგარსკაიას მხატვრულ-დოკუმენტურ თხზულებას: „გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ (დოდაშვილების გვარის ქრონიკა)“, რომელიც, ბედის ირონიით, რუსულად არის დაწერილი, რაკი მისმა შთამომავლობამ ქართული ენა აღარ იცოდა.

როსტომ ჩხეიძეს სათანადოდ გამოუყენებია გიორგი გოზალიშვილის მიერ გამოცემული 1832 წლის შეთქმულების მასალების სამტომეულიც, კერძოდ, დაკითხვის ოქმები, რომლებიც დეტალურად აღწერს ამ უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენის რეალურ გარემოებებს და მწერალიც ნაბიჯ-ნაბიჯ აღადგენს ალექსანდრე ორბელიანისა თუ ელიზბარ ერისთავის, სოლომონ დოდაშვილის, იოსებ მამაცაშვილისა თუ სხვა შეთქმულთა ღვაწლსაც და მათი მარცხის პერიპეტიებსაც. რომანის ბოლო თავი კი საგანგებოდ ეძღვნება ფილადელფოს კიკნაძესა და მის მიერ კონსპირაციის მიზნით შექმნილ საიდუმლო ანბანს.



ფართოდაა გამოყენებული სოლომონ დოდაშვილისა და იონა ხელაშვილის მიმოწერაც, რომელსაც ავტორი „ეპისტოლეებად გადმოღვრილ აღსარებას“ უწოდებს. იგი კომპლექსურად წარმოგვიდგენს სოლომონ დოდაშვილის პორტრეტს და კონცეპტუალურად გაიაზრებს ამ მოღვაწის შემოქმედებით მემკვიდრეობას. ამიტომაცაა, რომ სტრიქონს — **„რომ ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს“** — ლიტერატურულ ფორმულას უწოდებს, რომელშიც სოლომონ დოდაშვილის სახებაც ძალდაუტანებლად გაეხვეოდა.

...გაეხვეოდა ბატონი როსტომისაც, რაკი, შეკრებილთა შეფასებით, განუზომელია მისი ღვაწლი ქართული ბიოგრაფიული რომანისტიკის სფეროში. მან ტიტანური შრომისა და თავდაუზოგავი ძიების შედეგად წარსულში მივიწყებული სურათები გააცოცხლა, თანამედროვე თუ მომავლის მკითხველს იმ დიდ თანამემამულეთა მხატვრულ-დოკუმენტური პორტრეტები შეუქმნა, რომელთაც ჩვენამდე მოიტანეს საქართველო.

ეს პორტრეტებიც და კონკრეტულ ნაწარმოებში გამოკვეთილი საკითხებიც როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანების ერთიან შუქზე მიმოიხილა **გიორგი ხორბალაძემ** და ასე შეახედა შეკრებილები ამ საინტერესო მწერლის შემოქმედებით ლაბორატორიაში.

ბატონმა გიორგიმ ყურადღება გაამახვილა მთავარი გმირისა და ავტორის მსოფლმხედველობათა თანაზიარობაზეც, როგორც ერთიან იდეურ-ესთეტიკურ კონცეფციაზე, რომელშიც თანხვედრა ეროვნული დამოკიდებულებებისა თავის მხრივაც განსაზღვრავს საინტერესო მხატვრული ქსოვილის შექმნას.

გასაკვირი კი ამაში არაფერია, რადგან მკითხველმა უკვე დიდი ხანია, იცის, რომ როსტომ ჩხეიძის შემოქმედებას მუდმივად დაჰყვება ილიას ლანდი და სოლომონ დოდაშვილსადმი მიძღვნილი ეს წიგნიც სწორედ ილიას ხატებით იღებს სათავეს, მერე მთელ რომანსაც რომ განმსჭვალავს თავისი მადლით, ძალითა და დამაჯერებლობით.

შეხვედრაზე ყურადღება გაამახვილეს მეტად საინტერესო და თავისებურ ირონიაზეც მწერლისა, რომელიც რომანის ზოგიერთ პასაჟში ილანდება და ვინმეს დაცინვას კი არ ისახავს მიზნად, ან სარკაზმად კი არ გვევლინება — არამედ სევდიანი დამოკიდებულებაა ბედისადმი, ჩვენდა საუბედუროდ, ამ ქვეყანასაც რომ დაჰყოლია და მასში მცხოვრებ ადამიანებსაც.

ეს ქვეყანაც, მასში მცხოვრები ადამიანებიც და მათი ბედიც, თავისი გამარჯვებებითა თუ მარცხებით, საგულისხმოდ აისახება როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიულ რომანებში, რომელთა ერთობლიობაც ქმნის ერთიან მასშტაბურ მხატვრულ სივრცეს. თითოეული ეს წიგნიც სწორედ ამ სივრცის განუყოფელი ნაწილია, ერთგვარ გაგრძელებებად რომ შეიძლება წარმოვიდგინოთ. მათ შორისაა „მისიონერიც“, თავის დროს რომ ელოდა შესაქმნელად, იმ ძარღვს, ბედად რომ უნდა მიეგნო ავტორს და თხრობისათვის აეყოლიებინა...

აეყოლიებინა და, ამ ყველაფერთან ერთად, სრული სიზუსტით აესახა მე-18 საუკუნის ბოლოდროინდელი ქართველი თავადაზნაურობის იმედი, განწყობილება და მოლოდინიც დიდი ჩრდილოელი მეზობლის მიმართ, ნიმუშად ამონარიდსაც რომ მოიყვანს შეხვედრაზე **იოსებ ალიმბარაშვილი:**

„რას წარმოიდგენდნენ, კრწანისს რუსეთის იმპერიის საქმე უფრო რომ მოეგვარებინა, ვიდრე სპარსეთისა... ეგონათ, ეგონათ და ვის გაამტყუნებდი, თუ ორსაუკუნოვან კაბალას წინდაწინვე ვერა ჭვრეტდა მე-18 საუკუნის მიწურულს და რუსეთი დიდ ჭირად სულაც არ მიაჩნდა, თუნდ ძალიანაც არ ეჭაშნიკებოდა მისი წაჯექი-უკუჯექური პოლიტიკა ჩვენთან მიმართებით“.

ბატონი იოსების თქმით, **სწორედ ამ ფონზე ხატავს მწერალი სოლომონ დოდაშვილს, ეროვნული ცნობიერების მქონე უაღრესად განათლებულ პიროვნებას, „ლოღიკისა“ და „რიტორიკის“ სახელმძღვანელოთა ავტორს, პირველი ქართული ეროვნული მიმდინარეობის ჟურნალის „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანის“ დამაარსებელს, ნიკოლოზ ბარათაშვილთან ერთად, ვახტანგ ორბელიანისა და დიმიტრი ყიფიანის მასწავლებელიც რომ გახლდათ, ვის გვერდითაც თვით რუსული დემოკრატიის „მამა“ ალექსანდრ გერცენიც მთლად კრავივით ვერა, მაგრამ გვარიანად თვინიერი კი ხდებოდა თურმე.**

დოდო ჭუმბურიძე მწერლის მიერ მინიშნებულ კიდევ ერთ სიმბოლურ პასაჟად გაიაზრებს სოლომონ დოდაშვილის ნეშტის დაბრუნებას სამშობლოში:

— წყალი, ერთი ყლუპი წყალი, — სხვას აღარას ითხოვს გამშრალი ბაგე და აბორგებული სულიო.

...და უცილობლად აწოდებს წყალს ანუ სიცოცხლეს ქართველი ხალხი იმ ადამიანს, ვისაც სიცოცხლე სწყუროდა და სამშობლოში სიკვდილის უფლებაც კი წაართვეს; ვისაც ეს სიცოცხლე თავისი ხალხისა და კაცობრიობის უკეთესი მომავლისათვის სწადდა; ვისაც სწამდა, რომ იყო ადამიანი „რომელი იკრეფდა სიბრძნესა მამულისათვის“.

ეს წიგნიც მისი მარადიული სიცოცხლისათვის დადგმული ძეგლია.

სიბრძნე კი ამ წიგნშიც არაერთი შეიძლება ამოკრიბოს მკითხველმა და **თამილა გოგოლაძე** ყურადღებას იმაზე გაამახვილებს, თუ როგორ ისიგრძეგანებს როსტომ ჩხეიძე მკვლევართა ნააზრევს:

— იგი თითქოს მოძრავი სპირალივით მოუხმობს მათ (კიტა აბაშიძე, მიხეილ გოცაძე, გიორგი გოზალიშვილი, გერონტი ქიქოძე, შალვა ნუცუბიძე, ნიკოლოზ კანდელაკი...). ბევრი მათგანის გარემოში გაატარა ბავშვობა თვითონ მწერალმა, ღრმად რომ აღბეჭდვია მეხსიერებაში მათი თითოეული სიტყვა, გააზრება, მიგნება, ასე სხვაგვარად, ჭეშმარიტად მწერლური ოსტატობითა და მანერით გამოკვეთილი „მისიონერში“...

ეს წიგნი ერთი ქართული სიმის გენეალოგიაცაა, რაც კიდევ ერთ ღირსებას სძენს თვითონ თხზულებასაც და მის ავტორსაც, უკვე 20-ზე მეტ ბიოგრაფიულ რომანს რომ ითვლის.

„მან ჩვენი სათქმელიც თქვა „მისიონერის სახით“ — ეს განცდა გასდევდა გორის უნივერსიტეტის რექტორის **გიორგი სოსიაშვილს** გამოსვლას, რომლის ძირითადი შინაარსიც ასეთი გახლდათ:

„ძნელია, წერო იმ ადამიანზე, ვინც საკუთარ მხრებზე იტვირთა ქვეყნის თავისუფლებისათვის ბრძოლა. ის მართლაც მისიონერად მოვლენოდა ქვეყანას და სწორედ მას უნდა შეესრულებინა ის წმინდა მისია, რომელიც არაერთი თაობის ოცნებად ქცეულიყო. „აკტი გონიურის“ ირგვლივ შემოკრებილიყო ქართული საზოგადოება. დაკითხვების ოქმებში ყველა ეჭვმიტანილი აღნიშნავს, რომ სოფელ არბოში წმინდა გიორგის ეკლესიის კარზე, გერისთობის დღესასწაულზე გაანდეს ერთმანეთს იმ შეთქმულების შესახებ, რომელიც ქვეყანას ერთხელ და სამუდამოდ მოაშორებდა მონობის ბორკილს. სოლომონ დოდაშვილის ღვაწლი ამ მხრივ ფასდაუდებელია. სახელმწიფოს მოწყობის მისეული ხედვები, მისი თავგანწირული, გადამწყვეტი ბრძოლა...

ეს წიგნი სწორედაც რო როსტომ ჩხეიძეს უნდა დაეწერა და შეერთებოდა ქართველი მორუას რომანების იმ ციკლს, ერს რო მივიწყებული, მტვერწაყრილი სახელები გაუცოცხლა, დავიწყების ნისლს რო გამოსტაცა, რომელი ერთი უნდა ჩამოთვალო... და თავად როსტომის ცხოვრებას და მოღვაწეობას მიესადაგება სოლომონ დოდაშვილის ბიოგრაფიული რომანის სახელწოდება: „მისიონერი“.

როსტომ ჩხეიძე დიახაც რო მისიონერად მოევლინა ქართულ საზოგადოებას. ჩვენ ვერ აღმოვაჩენდით სხვანაირად სოლომონ დოდაშვილს, რევაზ გაბაშვილს, თედო რაზიკაშვილს, გიორგი შატბერაშვილს, ალექსანდრე ორბელიანს, ელიზბარ ერისთავს, შიო არაგვისპირელს, პავლე ინგოროყვას...

ვფიქრობდი, რა უნდა თქვა ისეთი, ამ წიგნის სრულყოფილი შეფასება რო გამომიმივიდეს-მეთქი. დიდი წიგნია — დიდ ადამიანზე და ამისათვის მადლობა ბიოგრაფიული რომანის დიდოსტატს — როსტომ ჩხეიძეს. მე ერთ-ერთ წერილს, რომელიც ბატონი როსტომის მოღვაწეობას ეძღვნება, „როსტომის ეპოქა“ ვუწოდე. მიხარია და მეამაყება. ეს არის განსაცვიფრებელი სიამაყე. თითოეული მისი წიგნი კიდევ უფრო მიმძაფრებს ამ ეპოქის განცდას. მან ჩვენი სათქმელიც თქვა „მისიონერის“ სახით“.

შეხვედრაზე ითქვა ისიც, რომ ისტორიული ქრონოლოგიის კვალობაზე „მისიონერი“ ბიოგრაფიულ რომანების ამ ციკლში მესამე ადგილს იკავებს ალექსანდრე ბატონიშვილისა და ალექსანდრე ორბელიანის შემდეგ. არადა, ბატონი როსტომის თქმით, სწორედ სოლომონ დოდაშვილის პიროვნება და ღვაწლი იყო შთამაგონებელი მისთვის ბიოგრაფიული რომანების შესაქმნელად, თუმცა ისე კი მოხდებოდა, რომ გამოიცემოდა 18 ნიმუში ამ ციკლიდან და ამ დიდებული მოღვაწის ცხოვრების ქრონიკა ჯერაც დაუწერელი რჩებოდა...

რჩებოდა მანამდე, ვიდრე იმ ძარღვს არ მიაგნებდა...

იმ ერთს, განსაკუთრებულს, სხვადასხვა დროს სხვადასხვა რომანის დასაწერად რომ აიყოლიებდა თავისებური მატიანის შესაქმნელად;

სწორედაც რომ მატიანისა, რადგან **ნინო ვახანიას** თქმით, როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიულ რომანებს აქვთ კიდევ ერთი ხიბლი — მე-19 საუკუნისდროინდელი მოღვაწის ნაამბობის ილუზია, რომელსაც, ღრმა ცოდნასთან ერთად, ალბათ იმ ეპოქის, საერთოდ, საქართველოს წარსულისა და მომავლის გაუნელებელი სიყვარული იწვევს.

უამრომანოდ კი რაღაც დააკლდებოდა 32-იანელთა ციკლსაც და, საერთოდ, როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანების სერიასაც.

აი, წრედი კი ამ ბიოგრაფიული რომანებისა ჯერჯერობით ისევ შესაკრავია და კიდეც ელის მკითხველი, რომ ამ ციკლს რამდენიმე რომანი კიდევ შეემატება.

...მხოლოდ ეს თავისებურებაც იკმარებდა იმის დასტურად, რომ როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანი სრულიად ინდივიდუალური სივრცეა.

სივრცე, რომლის კვლევაც უნდა გაგრძელდეს და... გაღრმავდეს.

„მედიანიუსი“,
სპეციალურად
„საქართველოს რესპუბლიკისთვის“

◎ ᲠᲣᲡᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲝᲕᲐᲜᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘ

ᲡᲔᲠᲒᲔᲘ ᲚᲐᲕᲠᲝᲕᲘ: ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ „ᲬᲘᲗᲔᲚ ᲮᲐᲖᲡ“ ᲒᲐᲓᲐᲐᲑᲘᲯᲐ

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲛᲐ ᲡᲔᲠᲒᲔᲘ ᲚᲐᲕᲠᲝᲕᲛᲐ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲛᲘᲡᲪᲐ ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲚᲝᲛᲛᲔᲠᲡᲐᲜᲗᲘ“-ᲘᲡ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲡ ᲔᲚᲔᲜᲔ ᲩᲔᲠᲜᲔᲜᲙᲝᲡ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲖᲔ ᲔᲚᲐᲣᲑᲠᲐ. ᲘᲒᲘ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗᲘ ᲨᲔᲔᲮᲝ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ, ᲗᲣ ᲡᲐᲓ ᲒᲐᲓᲘᲡ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ „ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲮᲐᲖᲔᲑᲘ“, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲛᲐ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲐᲠᲚᲕᲘᲝᲡ.

ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ „ᲜᲘᲣᲡᲞᲠᲔᲡᲘ“ ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲗ ᲐᲛᲝᲜᲐᲠᲘᲓᲔᲑᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣᲓᲐᲜ:

„1980-ᲘᲐᲜᲘ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑ ᲒᲔᲝᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲩᲐᲠᲩᲝᲔᲑᲨᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲓᲐ. ᲝᲠᲘᲕᲔ ᲛᲮᲐᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲘᲧᲝ ᲞᲘᲠᲝᲑᲘᲗᲘ ᲮᲐᲖᲘ ᲜᲐᲢᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲐᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘᲗ: „ᲨᲔᲜ ᲗᲣ ᲛᲐᲠᲪᲮᲜᲘᲓᲐᲜ ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲦᲓᲔᲑᲘ, ᲐᲠᲪ ᲛᲔ ᲐᲠ ᲩᲐᲛᲝᲒᲠᲩᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲯᲕᲜᲘᲓᲐᲜ ᲨᲔᲕᲘᲐᲠᲐᲦᲓᲔᲑᲘ“. ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝᲓ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲛᲐ ᲒᲐᲛᲐᲚᲔᲑᲣᲚ ᲛᲘᲚᲘᲢᲐᲠᲘᲖᲛᲡ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲣᲫᲚᲝ ᲓᲐ ᲬᲔᲚᲘ ᲛᲝᲡᲬᲧᲓᲐ. ᲪᲮᲐᲓᲘᲐ, „ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲣᲠᲛᲐ ᲝᲛᲔᲑᲛᲐ“ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲮᲠᲘᲙᲔᲑᲛᲐᲪ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲘ ᲠᲝᲚᲘ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲔᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠᲐ ᲒᲐᲓᲐᲛᲬᲧᲕᲔᲢᲘ. ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲘᲛᲘᲢᲝᲛ ᲓᲐᲘᲨᲐᲚᲐ, ᲠᲝᲛ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲛ, ᲛᲘᲡᲛᲐ ᲔᲚᲘᲢᲐᲛ ᲕᲔᲠ ᲨᲔᲘᲒᲠᲫᲜᲝ ᲓᲠᲝᲣᲚᲐᲓ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲮᲝᲚᲝ ᲠᲝᲪᲐ ᲒᲐᲐᲪᲜᲝᲑᲘᲔᲠᲐ, ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲡᲮᲕᲐ ᲒᲖᲘᲗ (ᲣᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲝᲚᲓ) ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲓᲐ.

ᲓᲦᲔᲡ, ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲐᲢᲚᲐᲜᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲘ ᲐᲚᲘᲐᲜᲡᲘᲡ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲗ ᲒᲐᲤᲐᲠᲗᲝᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘ, ᲐᲠᲐᲜᲐᲘᲠᲘ ᲬᲔᲡᲔᲑᲘ ᲐᲦᲐᲠ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ. ᲜᲐᲢᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲡᲐᲓ ᲐᲠᲐᲐ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲮᲐᲖᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ „ᲬᲘᲗᲔᲚ ᲛᲘᲯᲜᲔᲑᲐᲓ“ ᲘᲗᲕᲚᲔᲑᲐ. ᲗᲣ ᲩᲕᲔᲜ ᲘᲛᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲕᲘᲛᲡᲯᲔᲚᲔᲑᲗ, ᲠᲝᲛ ᲗᲘᲗᲥᲝᲡᲓᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲡ ᲔᲕᲠᲝᲐᲢᲚᲐᲜᲢᲘᲙᲣᲠ ᲠᲔ�გᲘᲝᲜᲨᲘ ᲐᲠᲐᲜᲐᲘᲠᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘ ᲐᲠᲐ ᲐᲥᲕᲡ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲜᲐᲢᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ „ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲮᲐᲖᲘ“ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ. ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲘᲛᲐᲨᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚ ᲠᲔ�გᲘᲝᲜᲨᲘ ᲩᲕᲔᲜ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲔᲠᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘ, ᲘᲥ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲠᲣᲡᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲓᲐᲨᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲣᲪᲔᲑ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠ�გᲐᲠᲔᲗ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲜᲔᲜ. ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ, ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ, ᲝᲯᲐᲮᲣᲠᲘ ᲛᲭᲘᲓᲠᲝ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘ. ᲠᲣᲡᲔᲗᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ, ᲓᲐᲘᲪᲕᲐᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲛᲐᲛᲣᲚᲔᲗᲐ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘ — ᲛᲘᲗ ᲣᲛᲔᲢᲔᲡ ᲘᲛ ᲓᲠᲝᲡ, ᲠᲝᲪᲐ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲛᲐᲗᲖᲔ ᲓᲔᲕᲜᲐ ᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲔᲑᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲨᲔᲕᲘᲬᲠᲝᲔᲑᲐ ᲮᲓᲔᲑᲐ, ᲠᲝ�გᲝᲠᲪ, ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲐᲓ, ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲨᲘ.

„ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲮᲐᲖᲘ“ ᲘᲧᲝ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘᲪ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲝᲡᲔᲗᲨᲘ ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲮᲛᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲓᲐᲐᲑᲘᲯᲐ. ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲝᲡᲔᲗᲨᲘ ᲠᲣᲡᲘ, ᲝᲡᲘ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡᲛᲧᲝᲤᲚᲔᲑᲘ ᲘᲓᲒᲜᲔᲜ. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲛᲗ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡᲛᲧᲝᲤᲚᲔᲑᲘ ᲐᲑᲡᲝᲚᲣᲢᲣᲠᲐᲓ ᲞᲠᲝᲕᲝᲙᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲚᲔ�გᲘᲢᲘᲛᲣᲠᲘ ᲨᲔᲢᲔᲕᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲡᲐᲐᲗᲘᲗ ᲐᲓᲠᲔ ᲒᲐᲘᲧᲕᲐᲜᲐ.

ᲠᲣᲡᲔᲗᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲔᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲮᲡᲝᲕᲓᲔᲡ. ᲠᲣᲡᲔᲗᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ „ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲮᲐᲖᲔᲑᲘ“. ᲕᲤᲘᲥᲠᲝᲑ, ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲡ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲐᲠᲚᲕᲘᲝᲡ. ᲠᲣᲡᲔᲗᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘ — ᲛᲘᲗ ᲣᲛᲔᲢᲔᲡ ᲘᲛ ᲓᲠᲝᲡ, ᲠᲝᲪᲐ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲛᲐᲗᲖᲔ ᲓᲔᲕᲜᲐ ᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲔᲑᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲨᲔᲕᲘᲬᲠᲝᲔᲑᲐ ᲮᲓᲔᲑᲐ, ᲠᲝ�გᲝᲠᲪ, ᲛᲐᲗᲔᲛᲐᲢᲘᲙᲣᲠᲐᲓ, ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲨᲘ.

ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲛᲐ ᲖᲔᲛᲝ ᲚᲐᲠᲡᲘᲡ ᲐᲚᲢᲔᲠᲜᲐᲢᲘᲕᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲘᲕᲘᲬᲧᲝᲡ?!

ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ, „ᲙᲐᲡᲞᲘᲘ»-Ს ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲢᲐᲢᲘᲐ ᲔᲮᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲣᲚ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ, 2011 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲝᲡᲙᲝᲕ-ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲖᲔ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲝᲡᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲕᲚᲘᲗ ᲢᲕᲘᲠᲗᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲐᲡ ᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲡ.

ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ „ᲜᲘᲣᲡᲞᲠᲔᲡᲘ“ ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲗ ᲒᲝᲨᲒᲐᲠ ᲐᲚᲘᲔᲕᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲘᲡ ᲠᲔᲖᲘᲣᲛᲔᲡ:

„ᲢᲕᲘᲠᲗᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲘᲢᲝᲠᲘᲜ�გᲘᲡ ᲗᲐᲝᲑᲐᲖᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲣᲚ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ SGS-ᲡᲗᲐᲜ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲤᲝᲠᲛᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲘᲛᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲒᲐᲩᲜᲓᲐ ᲖᲔᲛᲝ ᲚᲐᲠᲡᲘᲡ ᲐᲚᲢᲔᲠᲜᲐᲢᲘᲕᲐ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲠᲔᲕᲐᲜᲨᲘ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲛᲘᲖᲔᲖᲔᲑᲡ ᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲬᲧᲝᲓ, ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲡᲔᲠᲔᲟ ᲡᲐᲠᲒᲡᲘᲐᲜᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ), �გᲘᲝᲠ�გᲘ ᲙᲕᲘᲠᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲐᲠ �გᲐᲛᲝᲠᲘᲪᲮᲐ ᲤᲝᲠᲡ-ᲛᲐᲟᲝᲠᲣᲚ ᲡᲘᲢᲣᲐᲪᲘᲔᲑᲨᲘ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝᲐ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐᲓ (ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲡᲔᲠᲔᲟ ᲡᲐᲠᲒᲡᲘᲐᲜᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ), ᲒᲘᲝᲠ�გᲘ ᲙᲕᲘᲠᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲐᲠ �გᲐᲛᲝᲠᲘᲪᲮᲐ ᲤᲝᲠᲡ-ᲛᲐᲟᲝᲠᲣᲚ ᲡᲘᲢᲣᲐᲪᲘᲔᲑᲨᲘ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲝᲡᲔᲗᲘᲡ ᲖᲦᲕᲐᲠᲖᲔ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲝᲡᲔᲗᲘᲡ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲨᲘ.

ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝᲐ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐᲓ (ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲡᲔᲠᲔᲟ ᲡᲐᲠᲒᲡᲘᲐᲜᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ), ᲒᲘᲝᲠ�გᲘ ᲙᲕᲘᲠᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲠᲘᲪᲮᲐ ᲤᲝᲠᲡ-ᲛᲐᲟᲝᲠᲣᲚ ᲡᲘᲢᲣᲐᲪᲘᲔᲑᲨᲘ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲝᲡᲔᲗᲘᲡ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲨᲘ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲣᲚ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲤᲝᲠᲛᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲘᲛᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲒᲐᲐᲩᲜᲓᲐ ᲖᲔᲛᲝ ᲚᲐᲠᲡᲘᲡ ᲐᲚᲢᲔᲠᲜᲐᲢᲘᲕᲐ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲠᲔᲕᲐᲜᲨᲘ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲝᲡᲔᲗᲘᲡ ᲖᲔᲛᲝ ᲛᲝᲛᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲘᲢᲣᲐᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ. ᲒᲐᲠᲓᲐ ᲐᲛᲘᲡᲐ, ᲔᲠᲔᲕᲐᲜᲘ ᲘᲗᲮᲝᲕᲡ ᲑᲐᲥᲝ-ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲠᲙᲘᲜᲘ�გᲖᲘᲗ ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ ᲢᲕᲘᲠᲗᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲢᲐᲜᲐᲡ. ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘᲐ, ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘ ᲐᲠᲐᲜᲐᲘᲠᲘᲐ ᲣᲐᲠᲧᲝᲤᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲐᲠᲪ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲐᲠ ᲐᲦᲤᲠᲗᲝᲕᲐᲜᲔᲑᲣᲚᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲝᲡᲔᲗᲘᲡ ᲖᲦᲕᲐᲠᲖᲔ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲝᲡᲔᲗᲘᲡ ᲖᲦᲕᲐᲠᲖᲔ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲝᲡᲔᲗᲘᲡ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲨᲘ. ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲑᲔᲕᲠᲘ ᲐᲠᲪ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲐᲠ ᲐᲦᲤᲠᲗᲝᲕᲐᲜᲔᲑᲣᲚᲐ

ᲓᲐᲛᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲝᲡᲔᲗᲘᲡ ᲖᲦᲕᲐᲠᲖᲔ ᲒᲐᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲒᲖᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ, ᲠᲐᲪ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲨᲘ ᲖᲣᲠᲒᲨᲘ ᲓᲐᲜᲘᲡ ᲩᲐᲠᲗᲣᲚᲐᲓ ᲘᲥᲜᲐ ᲐᲦᲥᲛᲣᲚᲘ.

ᲒᲐᲡᲐᲒᲔᲑᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲖᲔ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲝᲡᲔᲗᲖᲔ ᲒᲐᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲐᲠᲨᲠᲣᲢᲔᲑᲘᲡ (ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲓᲔᲠᲔᲤᲜᲔᲑᲘᲡ) ᲐᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗ ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲒᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲡᲘᲢᲣᲐᲪᲘᲐ ᲘᲥᲛᲜᲔᲑᲐ. ᲒᲐᲠᲓᲐ ᲐᲛᲘᲡᲐ, ᲔᲠᲔᲕᲐᲜᲘ ᲘᲗᲮᲝᲕᲡ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲡᲐᲧᲠᲔᲚᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐᲓ (ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲡᲔᲠᲔᲟ ᲡᲐᲠᲒᲡᲘᲐᲜᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ), ᲒᲘᲝᲠ�გᲘ ᲙᲕᲘᲠᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲠᲘᲪᲮᲐ ᲤᲝᲠᲡ-ᲛᲐᲟᲝᲠᲣᲚ ᲡᲘᲢᲣᲐᲪᲘᲔᲑᲨᲘ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲝᲡᲔᲗᲘᲡ ᲖᲦᲕᲐᲠᲖᲔ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲝᲡᲔᲗᲘᲡ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲨᲘ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲣᲚ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ SGS-ᲡᲗᲐᲜ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲤᲝᲠᲛᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲘᲛᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲒᲐᲩᲜᲓᲐ ᲖᲔᲛᲝ ᲚᲐᲠᲡᲘᲡ ᲐᲚᲢᲔᲠᲜᲐᲢᲘᲕᲐ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲠᲔᲕᲐᲜᲨᲘ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲛᲘᲖᲔᲖᲔᲑᲡ ᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲬᲧᲝᲓ, ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲡᲔᲠᲔᲟ ᲡᲐᲠᲒᲡᲘᲐᲜᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ), ᲒᲘᲝᲠ�გᲘ ᲙᲕᲘᲠᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲠᲘᲪᲮᲐ ᲤᲝᲠᲡ-ᲛᲐᲟᲝᲠᲣᲚ ᲡᲘᲢᲣᲐᲪᲘᲔᲑᲨᲘ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲝᲡᲔᲗᲘᲡ ᲖᲦᲕᲐᲠᲖᲔ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲝᲡᲔᲗᲘᲡ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲨᲘ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲣᲚ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ SGS-ᲡᲗᲐᲜ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲤᲝᲠᲛᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲘᲛᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲙ

აგრარული სექტორი არასახარბიელოდ ვითარდება

აგრარული სექტორი, ბოლო ორი წელია, არასახარბიელოდ ვითარდება, — ამის შესახებ სოფლის მეურნეობის სამმართველოში 17 იანვარს გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში ფერმერებსა და მრჩეველთა საბჭოსთან გამართულ შეხვედრაზე იმსჯელეს. ღონისძიების მიზანი ფერმერებისთვის სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის სტრატეგიის გაცნობა და პრიორიტეტების განსაზღვრა იყო, რომელიც რეგიონის ექსტენციის სტრატეგიასა და სამოქალაქო გეგმაში აისახება.

შეხვედრაზე იმ გზებისა და მიმართულებების შესახებ ისაუბრეს, რომელთა მეშვეობითაც, ფერმერთა აზრით, აგრარულ სექტორში შეიძლება ვითარება გაუმჯობესდეს. იმაზე, თუ როგორი მდგომარეობაა საქართველოში სოფლის მეურნეობის კუთხით და რატომ არის მნიშვნელოვანი მსგავსი საინფორმაციო შეხვედრები ფერმერებთან, საკონსულტაციო ცენტრის ხელმძღვანელმა ილაპარაკა. შეხვედრის მონაწილეებმა ისაუბრეს იმაზე, თუ რამდენად ემთხვევა ერთმანეთს სამინისტროს პრიორიტეტები და ფერმერთა მოთხოვნები, რა შედეგს იძლევა მსგავს შეხვედრებზე აგროსექტორის განვითარების ირგვლივ დისკუსია და როგორია სახელმწიფოს როლი.

აღმოჩენილი სავარაუდო პარტნიორები, გაცვლილი საკონტაქტო ინფორმაცია და მსგავსი დისკუსიების საჭიროება — ეს ის ძირითადი საკითხებია, რომლებზეც გამართული შეხვედრის შემდეგ ამახვილებენ ყურადღებას ფერმერები. მონაწილეთა განმარტებით, მსგავსი შეხვედრები და საჭიროებების განხილვა მომავალშიც უნდა გაიმართოს. შეხვედრა შვეიცარიის განვითარების სააგენტოს დაფინანსებით ჩატარდა.

უკრაინაში გაყალბებული ქართული ღვინო ამოიღეს

უკრაინაში იმიტირებული ქართული ღვინის პარტია გაყიდვებიდან ამოიღეს, ხოლო კანონდამრღვევი კომპანია უკრაინის ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ დაჯარიმდა.

2016 წელს ღვინის ეროვნულ სააგენტოში შემოვიდა ინფორმაცია, რომ უკრაინული კომპანიები ახდენენ ქართული ღვინის უკანონო იმიტაციას და ქართული დაცული ადგილწარმოშობის დასახელებებს უკანონოდ იყენებდნენ. კერძოდ, უკრაინის ბაზარზე რეალიზაციაში იყო არაქართული წარმოშობის ღვინოები, რომელთა ეტიკეტებზე დატანილი, საქართველოსთან და ქართულ ღვინოსთან დაკავშირებული სიმბოლოები და აღნიშვნები განაპირობებდა მომხმარებელთა შეცდომაში შეყვანას ღვინის წარმოშობის ქვეყანასთან მიმართებით. ამით, უკრაინაში ოპერირებადი კომპანიების მხრიდან არაკეთილსინდისიერი კონკურენციის პირობები ექმნებოდა ქართული ღვინის მწარმოებელ კომპანიებს, რაც პირდაპირ ზეგავლენას ახდენს ქართული ღვინის საექსპორტო პოტენციალზე.

ამ ფაქტთან დაკავშირებით, ღვინის ეროვნულმა სააგენტომ, საქართველოს მთავრობის მიერ მინიჭებული მანდატის ფარგლებში, მიმართა უკრაინის ანტიმონოპოლურ კომიტეტს, რომელმაც გამოძიება დაიწყო უკრაინული კომპანია „კამიანკა გლობალ ვაინსის“ (LLC KAMYANKA GLOBAL WINE) წინააღმდეგ.

კომიტეტის მიერ, 2017 წლის ოქტომბერში მომზადდა წინასწარი დასკვნა, სადაც აღნიშნული იყო, რომ „კამიანკა გლობალ ვაინსს“, ქართული ღვინის ეტიკეტების იმიტირებით და არასწორი ცნობების გავრცელებით შეცდომაში შეჰყავდა მომხმარებლები და ქმნიდა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის გარემოს. შედეგად, უკრაინის ანტიმონოპოლურმა კომიტეტმა უკრაინული კომპანიის ქმედებები ცნო „არაკეთილსინდისიერი კონკურენციისგან დაცვის შესახებ“ უკრაინის კანონის დარღვევად და კომპანიას დააკისრა ჯარიმა 7 010 000 უკრაინული გრივნის ოდენობით. ამასთან ერთად, „კამიანკა გლობალ ვაინსს“ სამომავლოდაც აეკრძალა ქართულ ღვინის იმიტაციებთან დაკავშირებით მსგავსი ქმედებების განხორციელება.

აღნიშნულით, უკრაინაში შეიქმნა პირველი პრეცედენტი ანტიმონოპოლური კომიტეტის მიერ საქართველოს საჯარო დაწესებულების სასარგებლოდ გადაწყვეტილების გამოტანასთან დაკავშირებით. ეს ფაქტორი განსაკუთრებით ყურადსაღებია იმ ბაზარზე, სადაც ქართული ღვინო მაღალი რეპუტაციით სარგებლობს. ღვინის ეროვნული სააგენტო შემდგომშიც გააგრძელებს ქართული ღვინისა და მისი დასახელებების დაცვის მიზნით ეფექტური ღონისძიებების გატარებას საერთაშორისო ბაზარზე.

საქართველოს ბანკმა ქვეყანაში საუკეთესო ვაჭრობის ფინანსირების ბანკის წოდება მიიღო

საუკეთესო ბანკები ამ მიმართულებით, შეირჩა ისეთი კრიტერიუმების გათვალისწინებით, როგორებიცაა ტრანზაქციების მოცულობა, საერთაშორისო დაფარვის მასშტაბი, მომსახურების ხარისხი, კონკურენტული ფასწარმოქმნა და ინოვაციური ტექნოლოგიები. საქართველოს ბანკმა ეს ჯილდო უკვე მეხუთედ მიიღო.

„მოხარული ვარ, რომ საქართველოს ბანკი კიდევ ერთხელ იქნა აღიარებული საუკეთესო ბანკად საქართველოში ვაჭრობის ფინანსირების კუთხით. საქართველოს ბანკი აქტიურად თანამშრომლობს არაერთ საერთაშორისო ბანკთან თუ ინსტიტუტთან და ამ პარტნიორობების საფუძველზე ქმნის ვაჭრობის ფინანსირების საუკეთესო პროდუქტებს ადგილობრივი კორპორაციული და მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის,“ — განაცხადა საქართველოს ბანკის გენერალურმა დირექტორმა კახა კიკნაველიძემ.

◎ კალათბურთი

თორნიკე შენგელია - ესპანური ლიგის ტურის საუკეთესო მოთამაშე

თორნიკე შენგელია ესპანეთის უმაღლესი ლიგის მე-17 ტურის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს. „ბასკონიას“ ქართველმა ლეგიონერმა ეს ტიტული „რეალ ბეტისთან“ გამოჩენილი შედეგიანობის გამო დაიმსახურა.

ორმაგად სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ ტურის საუკეთესო მოთამაშედ დასახელების კონკურენტად შენგელიას გიორგი შერმადინი ჰყავდა. გიორგისაც ზეშედეგიანი მატჩი ჰქონდა მე-17 ტურში. შერმადინმა „გრან კანარიასთან“ 94:87 მოგებულ მატჩში 26 წუთში 23 ქულა, 5 მოხსნა (2 შეტევაში) და 1 ჩაჭრა მიითვალა. ქართველი ცენტრის მარგი ქმედების კოეფიციენტმა 26 ერთეული შეადგინა, თუმცა შენგელია გაცილებით შედეგიანი იყო. „რეალ ბეტისთან“ 94:70 მოგებულ მატჩში მისი სარგებლიანობის ინდექსი 34-ს გაუტოლდა და ის დღეს ესპანეთის ლიგამ ოფიციალურად ტურის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელა.



ეს გახლავთ შენგელიას ტურის საუკეთესოდ აღიარების მეორე შემთხვევა ამ სეზონში. შეგახსენებთ, რომ იგი ერთხელ ევროლიგაზეც გამოარჩიეს.

ესპანეთის ლიგის საიტზე თოკოს კომენტარიც გამოქვეყნდა:

„საუკეთესოდ დასახელებაც სასიამოვნოა, მაგრამ, პირველ რიგში „ბეტისთან“ გამარჯვება მახარებს. სწორედ ამ მოგებით მივაღწიეთ ესპანეთის სამეფო თასს. მადლობა ღმერთს, ამ წარმატებაში მეც შევიტანე წვლილი. დიდად დამეხმარნენ ჩემი თანაგუნდელები და მწვრთნელები“.

შენგელიამ მომავალზეც ილაპარაკა:

„კარგი მომენტია, გუნდი აღმავლობის გზაზეა, მაგრამ თუ წარმატებული სეზონი გვინდა, კიდევ უკეთეს კონდიციებში უნდა შევხვდეთ ესპანეთის ჩემპიონატის პლეი ოფსა და სამეფო თასს. მჯერა, რომ შეგვიძლია ესპანეთის ჩემპიონატის ფინალში გასვლაც და ევროლიგის ფინალურ ოთხეულში თამაშიც“.

გიორგი ზოთაძე

◎ ფეხბურთი

ჩაკვეტაძის გოლი, საგოლე პასი და კარგი თამაში

ბელგიის ჩემპიონატში გიორგი ჩაკვეტაძის „გენტმა“ შინ 3:0 მოუგო „ლოკერენს“ და მეოთხე ადგილზეა. როგორც დავაანონსეთ, ჩაკვეტაძე სათამაშოდ მზად იყო და მწვრთნელმაც მისცა თავის გამოჩენის საშუალება, რაც ქართველმა მშვენივრად გამოიყენა.

ჩაკვეტაძე 42-ე წუთზე შეცვლაზე შევიდა და ორ წუთში მისი აქტიურობის შედეგად გავიდა პირველი გოლი. მატჩის მიწურულს კი ქართველმა თავად გაიტანა: საჯარიმოს მისადგომებთან მიიღო ბურთი, ერთი მცველი მოატყუა და მარცხენა ფეხით ზუსტად დაარტყა. ამ გოლით 3:0 გახდა ანგარიში.

მთლიანობაში, ჩაკვეტაძემ კარგი მატჩი ჩაატარა. დაცვასაც ეხმარებოდა და შეტევაშიც ნაკლებად ჰქონდა წუნი.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჩოგბურთი

ორი წრე და 90 ათასი

ავსტრალიის ღია პირველობის ძირითად ბადეში თბილისელი ნიკოლოზ ბასილაშვილიც მონაწილეობდა.

სტარტზე მან ავსტრიელი ჯერალდ მელცერი ოთხ სეტში დაამარცხა – 6:3, 6:4, 2:6, 6:3, მატჩი 2 საათსა და 21 წუთს გაგრძელდა. ქართველ ჩოგბურთელს უფრო ნაკლები დრო (საათი და 42 წუთი) დასჭირდა მეორე წრეში გზიდან ბელგიელი რუბენ ბემელმანსის ჩამოსაშორებლად – 7:5, 6:1, 6:3. ამ გამარჯვებით მან 90.000 ამერიკული დოლარი გამოიმუშავა. ჩვენებურის წინსვლა მეთექვსმეტედფინალში უმძიმესი პაექრობის შემდეგ (შეხვედრა 3 საათსა და 38 წუთს გაგრძელდა) ბრიტანელმა კაელ ედმუნდმა შეაჩერა – 7:6, 3:6, 4:6, 6:0, 7:5.

წყვილთა პაექრობაში მონაწილეობდა ოქსანა კალაშნიკოვა, რომელმაც ვარვარა ლეფჩენკოსთან (აშშ) ერთად ჩინელები – ძიან ვანი და იაფან ვანი გაისტუმრა მაყურებლებში – 6:4, 6:2. ქართულ-ამერიკული დუეტი მეორე წრეში ტაივანელ ლატიშა ჩანსა და ჩეხ ანდრეა სესილი ჰლავჩიკოვასთან დამარცხდა – 0:6, 6:7 და შეჯიბრებას გამოეთიშა.

* * *

ანტალიაში ჩოგბურთელ ქალთა 15-ათასიან საერთაშორისო ტურნირში სოფიო შაფათავა მეორე ნომრად იყო განთესილი. პირველ-მეორე წრეში მან იოლად დაჯაბნა მასპინძელი ილეი იორუკი და გერმანელი ევა ლისი. მეოთხედფინალში მეექვსე ნომრად განთესილ ლიზა მატვიენკოს (გერმანია) სძლია საათსა და 17 წუთში – 6:3, 6:3.

ნახევარფინალში ჩვენებურის მეტოქე იყო ბელარუსი ნიკა შიტკოუცკაია. პირველი ხელი შაფათავამ 5:7 წააგო, მაგრამ მეორეში ანგარიში გაათანაბრა – 6:4. მესამე სეტში, როცა სოფიო 5:0-ს იგებდა, შიტკოუცკაიამ ტრავმის გამო ორთაბრძოლა ვერ განაგრძო. გადამწყვეტ შეხვედრაში შაფათავამ რუს ვარვარა გრაჩოვას სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწია და 5:7, 0:6 წააგო და მეორე ადგილს დაყაბულდა. შაფათავა 7-10 თებერვალს თანაგუნდელებთან ერთად ტალინში ფედერაციის თასზე სერბეთისა და ბულგარეთის წინააღმდეგ ითამაშებს.

თამაზ პატარიძე

◎ სამთო თხილამურები

მესამე ადგილს დასჯერდა

ნინო წიკლაური ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში მესამედ მოსინჯავს ძალებს. პიონჩანგში გამგზავრებამდე იგი იტალიაში ვარჯიშობს და რეიტინგის ასამაღლებლად საერთაშორისო ტურნირებშიც მონაწილეობს. გასულ უქმეებზე მან იტალიის კურორტ დობიაკოში იასპარეზა, სადაც საპრიზო ადგილებისთვის 12 ქვეყნის 25 სპორტსმენი იბრძოდა. ქართველმა მოთხილამურემ ორი დაშვების ჯამში მესამე ადგილი დაიკავა. ჩვენებურს ნორვეგიელმა რიკი გასმან-ბროტმა და ლატველმა ლინი ბონდარემ აჯობეს.

ლაშა დიდია

◎ ფიგურული ციგურაობა

ფინალში, მაგრამ ათეულს მიღმა

რუსეთის დედაქალაქში დამთავრდა ფიგურულად მოციგურავეთა ევროპის ჩემპიონატი. ვაჟთა პაექრობაში საქართველოს ორი წარმომადგენელი მონაწილეობდა – მორის ყვითელაშვილი და ირაკლი მაისურაძე. მოკლე პროგრამით ასპარეზობის შემდეგ ყვითელაშვილი 76,74 ქულით მეშვიდე იყო, ხოლო მაისურაძე 63,69 ქულით მე-18 ადგილზე გავიდა. ორივე სპორტსმენმა ფინალში გამოსვლის უფლება მოიპოვა. თავისუფალი პროგრამით ციგურაობისას მორისმა შეცდომა დაუშვა და საბოლოოდ 133,73 ქულით მეთოთხმეტე ადგილს დასჯერდა, ირაკლიმ კი სამი საფეხურით წინ წაიწია და



127,53 ქულით მე-15 ადგილი დაიკავა. მედლები ხავიერ ფერნანდესმა (ესპანეთი, 191,73), დმიტრი ალიევმა (რუსეთი, 182,73) და მიხაილ კოლიადამ (რუსეთი, 175,49) გაინაწილეს.

ლეძსო ცინცაძე

◎ ჭიდაობა

„კლასიკოსთა“ ბრინჯაო

„ბაძოში დამთავრდა მუშვიგ ისაევის სახელობის საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე ჭაბუკები მონაწილეობდნენ.

საპრიზო ადგილებისთვის ყაზახეთის, უზბეკეთის, რუსეთის, საქართველოსა და აზერბაიჯანის წარმომადგენლები იბრძოდნენ. „კლასიკურში“, ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალის პროგრამის გათვალისწინებით, მედლები 45, 51, 60, 71 და 92 კილოგრამ წონით კატეგორიებში გათამაშდა. საქართველოს ნაკრების (მწვრთნელები – ხვიჩა ქორიძე, ვაჟა კრავეიშვილი) წევრებმა – ნუკრი ბენიძემ (51 კგ), გიორგი ჩხიკვაძემ (60 კგ) და გიორგი შპეტიშვილმა (71 კგ) ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. ჩვენებმა მასპინძელი აზერბაიჯანის შემდეგ გუნდურ ჩათვლაში მეორე ადგილი დაიკავეს.

გივი გაგუა

◎ ინტერნეტიდან

ედენ აზარის სანიმუშო ოჯახი

ლონდონის „ჩელსიში“ მეტად თვალსაამოდ მობურთალი ბელგიელი ფეხბურთელის ედენ აზარის ოჯახური ცხოვრება და სიმყუდროვე სანიმუშოა არამხოლოდ საფეხბურთო სამყაროში, ამ სამყაროს მიღმაც კი, რადგან ედენი და მისი მეუღლე ნატაშა ვან ჰონაკერი უბრალოდ არავის აძლევენ ზედმეტის თქმის შანსსა და მიზეზს.

ედენ აზარი და მისი მეუღლე სიყმაწვილიდან დაქორწინებული არიან და უკვე სამი შვილიც ჰყავთ, რომლებიც მშობლების თქმით, განსაკუთრებულად თბილ ოჯახურ გარემოში იზრდებიან, რადგან ამდენი ხნის განმავლობაში აზარების ოჯახში არათუ ზედმეტი არ თქმულა, სულ სიტკბოება და ჩიტების ჟღურტულია.

აღარაფერს ვიტყვით იმაზე, რადგან ისედაც ცხადია, რომ ნატალია ვან ჰონაკერისგან ყოველგვარი ეპატაჟურობა და ფოტოკამერების წინ თამამად წამოპლაკვა შორს დგას. ამიტომაც, ამ ოჯახზე ბელგიისა თუ ბრიტანეთის ბულვარული მედია თითქმის არაფერს წერს და თუ წერს, მხოლოდ დადებით რამერუმეებს.

ხსოვნა

ფრიდონ ინჯია ოჯახით მწუხარებას გამოთქვამს თემურ ღოღობერიძის მამის, ღირსეული ქართველი მამულიშვილის, საყვარელი ადამიანის, უფროსი მეგობრის

მირიან ღოღობერიძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს ოჯახსა და ყველა მის ახლობელ-ნათესავს. ღმერთმა მარადიული სასუფეველი დაუმკვიდროს მის ნათელ სულს.

ფრიდონ ინჯია, ავთანდილ იაშვილი, კოტე სამუშია, ვახტანგ თოდუა, თეიმურაზ ბერიშვილი, თორნიკე აფაქიძე, დემურ ინჯია, ილია ინჯია, დავით ინჯია, ნუგზარ ბენდიაშვილი, ლევან კიკნაძე, ვიქტორ ნანობაშვილი, ნანა შარაშენიძე, ნუგზარ კვიკვინია, ტარიელ იაშვილი, ზურაბ ზუმბაძე, ლევან ინჯია, თემურ ცხვარიაშვილი, ვახტანგ ამაშუკელი, თემურ სურმავა, თემურ კუტოშვილი ოჯახებით ღრმა მწუხარებას გამოხატავენ უკეთილშობილესი პიროვნებისა და შესანიშნავი მამულიშვილის

მირიან ღოღობერიძის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ თეიმურაზ ღოღობერიძესა და მის ოჯახს.

შპს „ფოპტნეტის“ და შპს „სისტემ ნეტის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ბატონი თეიმურაზ ღოღობერიძის მამის

მირიან ღოღობერიძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

სანთელი

მალხაზ ბაძაღუა ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა ტრაგიკულად დაღუპული ცნობილი პოეტის, მთარგმნელისა და დრამატურგის თამაზ ბაძაღუას დედა

თალიკო ესიავა-ბაძაღუასი

დაკრძალვა მარტვილის რაიონის სოფელ ნახუნაოში, 25 I, 14 სთ.

დედას

ბალახს ცეცხლივით ეღვრება წვიმა. აქ
იწყება შენი საღამო.
აქ იღვიძებენ ანგელოზები ილუზიურ
ფრთათა შხუილით.
შენი სნეული ანგელოზები, ბალახს
ცეცხლივით ეღვრება წვიმა.
ლითონივით წკარუნებენ მათი სხივები
ილუზიურ ფრთათა შხუილში.
შენი მშვიდი და ნამდვილი ცოდვა იფარება
ბალახის ცეცხლით.
მე შეიძლება მარიამი გიწოდო ახლა...
დედა კი არა, ის მეორე, მაგდალინელი,
სხვა სახელი შენ არ შეგფერის. შენი
მშვიდი და ნამდვილი ცოდვა
ცეცხლის ალივით დასრიალებს ნათელ წვიმაში.
შენ უკვდავი ხარ შენი ცოდვით. აქ იწყება
შენი საღამო.
და როგორც წვიმა კარგავს ღრუბელს,
როგორც ბალახი კარგავს
მინდორს.
შენ გეკარგება
შენი სნეული ანგელოზების ილუზიურ ფრთათა
სიგრილე.
მე შეიძლება მარიამი გიწოდო ახლა...
რა ჩაიფიქრა შემოდგომამ შენს ღრმა
თვალებში:
ლოცვის ნეტარი სიმხურვალე, ნიჰილიზმი,
მონანიება
თუ გაძარცვული ბაღის სიჩუმე...

თამაზ ბაძაღუა

ა. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ყოფილი თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან ამავე ინსტიტუტის პრორექტორის, ღირსეული მამულიშვილის, ამაგდარი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, პროფესორ

ოთარ ქაჯაიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ინეზა, ადა, რომულ ჯიქიები, ლეო ქაჯაია, მაყვალა კეკელია, მარიკა ჯიქია, ინეზა გაბუნია, ბიჭიკო გაბუნია, გურამ დანელია, ზურაბ ზედანია, ელგუჯა ქუთელია, ნორა კეკელია, რამაზ გახოკიძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 96 წლის ასაკში გარდაიცვალა დიდი ქართველი, წმინდა სულის ადამიანი, მრავალი თაობის აღმზრდელი, ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი, მრავალი ნაშრომის ავტორი

ოთარ ქაჯაია.

მან დაგვიტოვა მეგრულ-ქართული ლექსიკონის ოთხტომეული, მეგრულ-გერმანული, მეგრულ-ქართულ-რუსული ლექსიკონები, ის იყო დიდი სამამულო ომის მონაწილე. სამშობლოზე და თავის კუთხეზე (ბანძა) უზომოდ შეყვარებული.

გულწრფელად თანავუგრძნობთ მის შვილებსა და შვილიშვილებს ამ დიდ მწუხარებაში.

დავით დათოშვილი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა შესანიშნავი ქალბატონი, დამსახურებული პედაგოგი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

დოდო ოდიკაძე-გიგაური

და თანაგრძნობას უცხადებს მის მეუღლეს ვაჟა გიგაურს, შვილებსა და უახლოეს ნათესავებს.

გარდაიცვალა ცნობილი მუსიკოსი და დირიჟორი

ლევან ოგანეზოვი.

ბატონი ლევანი 1965 წლიდან რუსთაველის თეატრის ორკესტრს ხელმძღვანელობდა. „ხანუმა“, „კავკასიური ცარცის წრე“, „რიჩარდ III“... ლევან ოგანეზოვის სახელი სამუდამოდ ჩაიწერა ჩვენი თეატრის ისტორიაში.

რუსთაველის თეატრი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ბატონი ლევანის გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

დანაშაულის ადგილზე იმყოფებოდა 25-მდე პირი, თუმცა, მკვლელობა ჩაიდინა ორმა

ხორავას ქუჩაზე მოზარდებს შორის ჩხუბის დროს 25-მდე პირი იმყოფებოდა, თუმცა გამოძიებამ დაადგინა, რომ მკვლელობა მხოლოდ იმ ორი ბრალდებულის მიერაა ჩადენილი — ეს განცხადება საქმის პროკურორმა სასამართლო პროცესის დაწყებამდე გააკეთა. ზვიად ფხაკაძის თქმით, ამოღებულია ორი დანა და სახელმწიფო ბრალდება სასამართლო განხილვებზე დაამტკიცებს, რომ მკვლელობა მხოლოდ ამ ორი დანითაა ჩადენილი.

„ბრალდებულებს გამოძიების დაწყებიდან რამდენიმე დღეში, კერძოდ, 3 და 4 დეკემბერს წარედგინათ ბრალი. თუმცა მოგვიანებით სრულყოფილი გამოძიების შემდეგ, მათ 27 დეკემბერს ბრალი დაუზუსტდათ. შესაბამისად, ბრალდების მხარე ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ბრალდებულებს, ერთი გარდაცვლილის მიმართ წარდგენილი აქვთ ბრალი ჯგუფურად ჩადენილ დანაშაულზე, კერძოდ, განზრახ მკვლელობა არასრულწლოვნის მიმართ, ჩადენილი ჯგუფურად, ხოლო ერთი გარდაცვლილის მიმართ, ერთ ბრალდებულს წარდგენილი აქვს ბრალი, არასრულწლოვნის მკვლელობა ჩადენილი ორი პირის მიმართ. საქმეში ფიგურირებს ორი დანა, რომელიც გამოძიებამ ამოიღო. მათზე ჩატარდა სათანადო კვლევები და წარმოდგენილია სასამართლოში. ბრალდების მხარე სასამართლო განხილვებისას დაადასტურებს, რომ მკვლელობები ამ ორი დანითაა ჩადენილი. ასევე, შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდა დაახლოებით 25-მდე პირი, თუმცა მკვლელობა ჩაიდინეს ხსენებულმა პირებმა“, — განაცხადა პროკურორმა.

პაატა პავლიაშვილის ოჯახი გამოძიების დაწყების მოთხოვნით გენინსპექციას მიმართავს

ნუცუბიძეზე დაკავებისას დაღუპული პაატა პავლიაშვილის ოჯახი გენერალურ ინსპექციას გამოძიების დაწყების მოთხოვნით მიმართავს. ოჯახი ითხოვს, დადგინდეს, რატომ არ ჩართეს სამართალდამცველებმა სამხრე კამერა და ფიქსირდება თუ არა სამსახურებრივი გადაცდომა. ისინი დარწმუნებული არიან, რომ 2017 წლის 25 ოქტომბერს პოლიციამ კანონი დაარღვია.

„იმან, რომ პროკურატურამ შეწყვიტა საქმე, არ უნდა მოახდინოს გავლენა გენერალურ ინსპექციაზე, იმიტომ, რომ ეს ორი უწყება აბსოლუტურად სხვა მიმართულებით ამოწმებს თავიანთ სფეროში საქმიანობას. ამიტომ, გვაქვს მოლოდინი, რომ გენინსპექცია საბოლოოდ დადებს დასკვნას. უფრო მეტიც, გენინსპექციამ პრაქტიკულად უპრეცედენტო გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს, როდესაც იმსჯელებს ვიდეოკამერებზე — უნდა ჰქონოდათ თუ არა ჩართული და რატომ არ ჰქონდათ აღნიშნულ შემთხვევებში საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს,“ — განაცხადა „საიას“ იურისტმა ლევან ვეფხვაძემ.

იმ შემთხვევაში თუ გენერალური ინსპექციისგან რეაგირება არადამაკმაყოფილებელი იქნება, პავლიაშვილები აპირებენ, სტრასბურგს მიმართონ.

ახმეტაში გაუჩინარებულ მამაკაცს სარწყავ არხში ეძებენ

სამძებრო სამუშაოები გუშინ დილიდან განახლდა. გავრცელებული ინფორმაციით, მამუკა ძებნიაური 19 იანვრის შემდეგ აღარავის უნახავს.

დაკარგულს პოლიცია ორი დღის განმავლობაში ეძებდა, ამჯერად კი, ძებნის ოპერაციაში სამაშველო ჯგუფები და ადგილობრივები ჩაერთნენ. მაშველებმა 4 კილომეტრამდე სიგრძის ტერიტორია უკვე შეამოწმეს, მათ შორის, ერთი საირიგაციო გვირაბიც.

თბილისში ჩინური ახალი წელი აღნიშნეს

21 იანვარს, ჩინეთის სავაჭრო პალატის ორგანიზებით, სასტუმრო „ჰუალიგ პრეფერანსში“ ჩინური ახალი წლისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა.

4716 (2018) წლის დადგომას ჩინელები 16 თებერვლიდან 2 მარტის ჩათვლით აღნიშნავენ, თუმცა, საქართველოში მოღვაწე ჩინელებმა ახალი წელი ოფიციალური ღონისძიებით, დრაკონის და ლომის ცეკვებით იზეიმეს. ჩინური ახალი წელი ცნობილია, როგორც მთვარის ახალი წელი, ან გაზაფხულის ფესტივალი. ის დღესასწაულთა მთელ სერიას მოიცავს.

„ეს გაზაფხულის ფესტივალია, რომელიც დღეს დაიწყება და 7 დღე გაგრძელდება. ამ ღონისძებით ჩვენ შევეცდებით, გავუზიაროთ ჩვენი ტრადიციები ქართველ მეგობრებს“, — აღნიშნა საღამოს ორგანიზატორმა სტივ იუმ.

საზეიმო ღონისძიების შემდეგ სტუმრებისთვის ოფიციალური საახალწლო ვახშამიც გაიმართა. ღონისძიებას ჩინელი ბიზნესმენები, ჩინეთის ელჩი საქართველოში ძი იანჩი და დიპლომატები ესწრებოდნენ.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
სულხან-საბას ქ. №3.
293-13-34; 599 797679

წინასწარი განწყობის „ოინები“

კონკრეტული საქმის ჩავარდნაზე წინასწარი განწყობა წარუმატებლობის საწინდარი ყოფილა.

ხშირია შემთხვევები, როცა ფსიქოლოგები წამოსაწყები საქმის წარუმატებლობის შეგუებას პაციენტებს წინასწარვე ურჩევენ, რაც კაცს არადამაკმაყოფილებელ შედეგთან შეგუებას გაუადვილებს.

მაგრამ, გამოკვლევამ აჩვენა, რომ სატესტო გამოცდებში ყველაზე ცუდი შედეგი სწორედ იმათ აჩვენეს, ვინც შინაგანად ცუდი შედეგისთვის მზად იყო. ისინი კი, ვინც თავიდანვე წარმატებისთვის იყვნენ განწყობილნი, უმეტეს შემთხვევაში, მას აღწევდნენ კიდეც.

ვინა ვართ, საიდან მოვდივართ...

მე-18 საუკუნის მიწურულს გერმანელმა მეცნიერმა იოჰან ბლუმენბაჰმა კაცობრიობა ხუთ რასად — თეთრად, ყვითლად, შავად, წითლად და ყავისფრად დაჰყო.

თეთრები უმაღლეს რასად მიიჩნეოდნენ, უპირველესად იმის გამო, რომ ისინი, თითქოსდა, უფრო ლამაზები არიან. ყველაზე ლამაზებად კი ბლუმენბაჰი კავკასიელებს მიიჩნევდა, ამიტომაც კავკასია თეთრკანიანთა არასამშობლოდ გამოაცხადა.

თუმცა კი ისიც უნდა ითქვას, რომ იოჰან ბლუმენბაჰმა მხოლოდ განავრცო ჰიოტინგინის უნივერსიტეტის პროფესორის კრიშტოფ მაინერსის იდეები, რომელიც 1785 წელს წერდა: „კაცობრიობა ორი ძირითადი რასისგან — კავკასიურისგან და მონღოლოიდურისგან შედგება; ამათგან, მეორე ფიზიკურად და გონებრივადაც გაცილებით სუსტია“.

მართალია, რასობრივმა თეორიამ არ გაამართლა, მაგრამ ტერმინი „კაუკაზიენსი“, როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში თეთრკანიან ადამიანებს ეძახიან, მრავალ ენაში დამკვიდრდა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გამოიწერეთ ან ეოველდღე იეიდეთ „საქართველოს რესპუბლიკა“ და ამით გადაარჩინეთ თქვენი გაზეთი

გასაცინებელი ა(მ)ბები

სალი ჰავა

ერთ პატარა ქალაქში ჩამომხდარი ტურისტი სასტუმროს ადმინისტრატორს ეკითხება:

— მართალია, რომ თქვენს მხარეში საღი ჰავაა?

— დედამიწის ზურგზე ყველაზე საღი ჰავა დიახაც აქ არის. აქ არც არავინ არა კვდება.

— ეგ როგორ? როგორც კი თქვენს ქალაქში შემოვედი, დავინახე, ვიღაცას მარხავდნენ.

— ეგ დამკრძალავი ბიუროს მფლობელი იყო, შიმშილისგან გარდაიცვალა.!

პოეზიის სიყვარული

— მამაჩემს ვუთხარი, ვითომ შენ პოეტი ხარ.

— იმან რაო, რა თქვა?

— ძალიან გაეხარდა.

— მეც ძალიან გამახარე.

— არ გეგონოს, მამაჩემს მართლა უყვარს პოეზია.

— მაშ, რა უყვარს?

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ჩემი ბოლო საქმრო სულ კინწისკვრით გააგდო, რომ გაიგო მოკრივეაო.

სასწავლო ფილმი

მოწაფე კინოში წასასვლელად გაემზადა.

— რა ფილმი უნდა ნახო? — ჰკითხა მამამ.

— ბევრი არაფერი, სასწავლო ფილმია.

მეორე დღეს მამამ შეიტყო, რომ სასწავლო კი არა, ფილმი-რევიუ იყო, რომელშიც ნახევრად შიშველი გოგონები ცეკვავენ.

— რატომ მომატყუე, ბიჭო? — ჰკითხა მამამ.

— სულაც არ მომიტყუებიხარ!

— აკი სასწავლო ფილმიაო, აბა, რა უნდა გასწავლოს, რაც გუშინ ფილმი ნახე?

— როგორ თუ რა უნდა მასწავლოს? რა და, ანატომია.

საწინდარი

როცა რესტორანში სადილისთვის შესულმა კაცმა ანგარიშის გასწორება გადაწყვიტა, აღმოაჩინა, რომ საფულე შინ დარჩენოდა.

— ძალიან უსიამოვნო ამბავია, — უთხრა ოფიციანტს, — მაგრამ რა გაეწყობა, წავალ და მალე მოვიტან, საწინდრად კი ჩემს ცოლს დაგიტოვებთ.

— რამე სხვა ნივთი არა გაქვთ, ვთქვათ, საათი ან ბეჭედი?

— ნუთუ ჩემი ცოლის დატოვება არასაკმარისია იმის დასადასტურებლად, რომ აუცილებლად მოვალ?!

— რასაკვირველია, საკმარისია, მაგრამ შემთხვევით რომ ველარ დაბრუნდეთ, მე უკვე ცოლი მყავს და ორცოლიანობას არ ვაპირებ.

მოხერხებული ბიჭი

უფროს ქალიშვილს ესიკვდილებოდა დილით ადრე ადგომა. დედა ბევრს ეჩიჩინებოდა, მაგრამ ამაოდ. უმცროსმა შვილმა, ბიჭუნამ გადაწყვიტა, დედას დახმარებოდა და ხერხი მოიგონა, ცოტა ხანში დედა მეზობლებს ეტრაბახებოდა, ჩემმა ბიჭმა ჩინებული რამ ხერხი მოიგონა, ინათებს თუ არა, გოგო ეგრევე წამოხტება ხოლმეო.

— რა ხერხია მაგისთანა?— იკითხეს მეზობლებმა.

— როგორც კი ირიჟრაჟებს, კატას უწვენს ლოგინში,

— მერე ეგ შველის?

— შველის რომელია! უკვე ჩვეულებად ექცა ძაღლთან ერთად ძილი.

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.5429; ევრო - 3.1082;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5214;
100 რუბლი - 4.4825; თურქული ლირა - 0.6693;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4961;
1000 სომხური დრამი - 5.2566.

ამინდი 23 იანვრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-3,	დღე	+15
მთიანი რაიონები -	ღამე	-7,	დღე	+11
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+4,	დღე	+18
მთიანი რაიონები -	ღამე	-1,	დღე	+16
თბილისი:	ღამე	+2,	დღე	+13

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge